



ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

ნოე ქაშიბაძე

1 მარტი 2023 წელი

N 5/36

ეგზ. N 1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით
განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების
2021 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული)
ბუღალტრული ანგარიშგების
ფინანსური აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	4
	მოსაზრება	7
	1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	8
	2. მნიშვნელოვანი გარემოებები	16
დანართები	3. სხვა გარემოებები	25
	4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	27
	დანართები	29
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	32
	კონსოლიდირებული ერთეულები	48
	საკონტაქტო ინფორმაცია	49

ტერმინები და შემოკლებები

აფხაზეთის ა/რ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

აფხაზეთის მთავრობა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

აფხაზეთის ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგება – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

განათლების სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

დევნოილთა სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტრო.

იუსტიციის მინისტრის აპარატი – იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი.

პროგრამების სააგენტო – სსიპ – დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო.

სავაჭრო პალატა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

უმაღლესი საბჭო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

ფინანსთა სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შსს – შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ჯანდაცვის სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ და სახელმწიფოს მიერ კანონით დელეგირებულ უფლებამოსილებებს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული უფლებამოსილებებია:¹

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღება;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;

გ) საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის მიღება და მისი შესრულების კონტროლი;

დ) საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა;

ე) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნა, მართვა და მხარდაჭერა;

ვ) საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენა და მინიჭება;

ზ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამსახურის მართვა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში, სარგებლობს ფინანსური ავტონომიით.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის ჯგუფის და მისი კომპონენტების შესახებ მოცემულია დიაგრამა N1-ში.

აფხაზეთის ა/რ-ის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგება დგება ფინანსთა სამინისტროს მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული მხარჯავი დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგებების კონსოლიდაციით. თავის მხრივ, ექვსი მხარჯავი დაწესებულების² ფინანსური ანგარიშგება დგება მათ კონტროლს ქვეშ მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციით (პირველი დონის კონსოლიდაცია).

¹ საქართველოს კონსტიტუცია; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

² აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო; იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი.

დიაგრამა N1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების სტრუქტურა



ცხრილი N1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები ორგანიზაციულ ქრილში (ლარი)³

ორგანიზ. კოდი	ორგანიზაციის დასახელება	ბიუჯეტის გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა (გეგმა-ფაქტი)	შესრულება %
01 00	აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო	2 912 400	2 892 358	20 042	99%
02 00	აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	2 650 073	2 616 623	33 450	99%
05 00	აფხაზეთის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2 448 250	2 358 821	89 429	96%
06 00	აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	4 340 270	4 252 981	87 289	98%
08 00	ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის წარმომადგენლობა	295 760	288 718	7 042	98%
11 00	აფხაზეთის ა/რ-ის იმულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო	4 448 978	4 166 798	282 180	94%
16 00	საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები (ფონდები)	1 965	-	1 965	0%
18 00	აფხაზეთის ა/რ-ის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	4 737 616	4 446 184	291 432	94%
19 00	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი	1 476 130	1 396 184	79 946	95%
ჯამი:		23 311 442	22 418 667	892 775	96%

ცხრილი N2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები მუხლობრივ ქრილში (ლარი)⁴

მუხლის კოდი	მუხლის დასახელება	ბიუჯეტის გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა (გეგმა-ფაქტი)	შესრულება %
00	ჯამური	23 311 442	22 418 667	892 775	96%
2	ხარჯები	22 665 414	21 840 572	824 842	96%
2.1	შრომის ანაზღაურება	9 419 121	9 382 151	36 970	100%
2.2	საქონელი და მომსახურება	4 210 469	3 881 334	329 135	92%
2.5	სუბსიდიები	4 803 563	4 744 995	58 568	99%
2.6	გრანტები	4 440	4 440	-	100%
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	2 648 142	2 571 736	76 406	97%
2.8	სხვა ხარჯები	1 579 679	1 255 917	323 762	80%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	637 028	569 095	67 933	89%
33	ვალდებულების კლება	9 000	9 000	-	100%

³ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი და ხაზინის ამონაწერი 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ (ფორმა E6).

⁴ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი და ხაზინის ამონაწერი 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ (ფორმა E6).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციები

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების (ერთად – „ჯგუფის“) ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს.⁵

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აბზაცში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შედეგების გარდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების თანდართული ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების⁶ შესაბამისად.

⁵ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანების მუხლი 17, შენიშვნები 1-დან 21-ის ჩათვლით.

⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 კონსოლიდაციის პროცესში ელიმინირება

აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2021 წლის ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის, მათ შორის, შიდა კონსოლიდირებადი ერთეულების კონსოლიდაციის პროცესის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამოები:

აფხაზეთის ა/რ-ის ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

აუდიტის ჯგუფისათვის მოწოდებული (წარდგენილი) ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მაკონსოლიდირებელი კომპონენტების ფინანსური ანგარიშგების მონაცემების შედარებით ფიქსირდება სხვაობა, რომელიც გამოვლინდა ფინანსური ანგარიშგების „ფინანსური შედეგების ანგარიშგების ფორმაში“. კერძოდ, ხარჯებისა და ელიმინირებული თანხების ხელახალი გადაანგარიშების შედეგად დადგინდა, რომ მუხლში „გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიები“ ელიმინირებულია⁷ 588 121 ლარით ნაკლები თანხა.

განათლების სამინისტრო

- კონსოლიდაციის პროცესში გამოვლინდა 3 300 ლარის შეუსაბამო, რომელიც არ არის ელიმინირებული შემოსავლები გრანტებითა და ხარჯები გრანტებით ანგარიშგებზე;
- დეკემბერში ხარჯად აღიარებულია გრანტის თანხა 27 067 ლარი, რომელიც არ გახარჯულა 2021 წელს და დარჩა ბიუჯეტში. შესაბამისად, გაზრდილია ხარჯები და შემცირებულია ნამეტი/დეფიციტი.

ფინანსთა სამინისტრო

აუდიტის ჯგუფისათვის მოწოდებული (წარდგენილი) ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მაკონსოლიდირებელი კომპონენტების ფინანსური ანგარიშგების მონაცემების შედარებით ფიქსირდება სხვაობები, კერძოდ: შემოსავლების ანგარიშგებზე არ არის ელიმინირებული 23 729 ლარი, ხოლო ხარჯების ანგარიშგებზე – 23 187 ლარის ხარჯი.

1.2 არაფინანსური აქტივები

აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შემოწმებით გამოვლინდა, რომ რიგი⁸ ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებში, ასევე აფხაზეთის ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში, ასახული იყო არასწორი ინფორმაცია, კერძოდ:

აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო

აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების⁹ საფუძველზე ჩატარდა ორგანიზაციის ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის დროს გამოვლინდა 16 640 ლარის ძირითადი აქტივების დანაკლისი, მათ შორის:

⁷ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 35, „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ პუნქტი 40.

⁸ 2 (ორი) ორგანიზაცია.

⁹ 2021 წლის 10 დეკემბრის N04/89 ბრძანება.

- ცეცხლსასროლი იარაღი¹⁰ – 1 ცალი, 1 202 ლარის ღირებულების.

ორგანიზაციამ ინვენტარიზაციის ჩატარებამდე:

- წერილით¹¹ მიმართა საქართველოს შსს სსიპ „მოსახურების სააგენტოს“, თუ რა დოკუმენტის საფუძველზე იქნა დარეგისტრირებული პირად საკუთრებაში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გარდაცვლილ მოადგილეზე¹² უმაღლესი საბჭოს კუთვნილი¹³ ერთი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი. საქართველოს შსს-ს სსიპ – მომსახურების სააგენტოს წერილის¹⁴ მიხედვით, აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი თავმჯდომარის გარდაცვლილ მოადგილეზე რეგისტრირებულია მომსახურების სააგენტოს ბაზაში, მისი 2002 წლის 2 ივლისის განცხადების¹⁵ საფუძველზე (ხელახალი რეგისტრაცია გავლილია 2011 წელს). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შსს-ს სსიპ – მომსახურების სააგენტოს წერილს დანართად არ ახლავს იარაღის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამავდროულად, ვერც უმაღლესმა საბჭომ წარმოადგინა ცეცხლსასროლი იარაღის საკუთრებაში რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის მიერ მოქმედი კანონმდებლობის¹⁶ შესაბამისად, ცეცხლსასროლი იარაღი არ იყო რეგისტრირებული იარაღის რეესტრში. ასევე საქართველოში მოქმედი ინვენტარიზაციის ჩატარების ინსტრუქციის¹⁷ შესაბამისად, დანაკლისის ანაზღაურება ეკისრებათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, თუ დანაკლისი მათი ბრალეული ქმედებით არის გამოწვეული. ამასთანავე, ბრალეულ ქმედებაზე შეკრებილი მასალები ინვენტარიზაციის დასრულებიდან 5 დღის ვადაში გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის დანაკლისთან დაკავშირებით უმაღლეს საბჭოს არ განუხორციელებია.

პროგრამების სააგენტო

- ქალაქ თბილისში, მეველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება¹⁸ სააგენტოს გადმოეცა 2021 წლის ივლისში, თუმცა 2022 წლის მაისში სააგენტომ მიიღო წერილი აქტივების არასწორი ღირებულებით გადმოცემის შესახებ (წერილით, უძრავი ქონების ღირებულება იყო 834 666 ლარი). აღსანიშნავია, რომ ამ წერილის მიღებამდე, 2022 წლის აპრილში, სააგენტოს მიერ განხორციელდა აღნიშნული უძრავი ქონების დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შეფასება, რის შედეგადაც აქტივის ღირებულება განისაზღვრა 1 797 000 ლარით. სააგენტომ ფინანსურ ანგარიშგებაში დააფიქსირა წერილით განსაზღვრული და არა შეფასებით განსაზღვრული ღირებულება. ვინაიდან სამინისტროს მიერ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა განხორციელდა მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი იყო აქტივის შეფასების ღირებულება, შესაბამისად, სააგენტოს უნდა აესახა იგი სამართლიანი ღირებულებით (აუდიტორული

¹⁰ CZ-92, კალიბრი 6,35, N B8506.

¹¹ 2021 წლის 4 სექტემბრის წერილი N 233.

¹² დ.გ.

¹³ 1999 წლის 1 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტი.

¹⁴ 2021 წლის 30 სექტემბრის წერილი N MIA.

¹⁵ იარაღთან დაკავშირებული ნებართვის შესახებ.

¹⁶ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის ინვენტარიზაციისას გამოვლენილი სხვაობების რეგულირებისა და შედეგების გაფორმების წესის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁸ მიწა და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა.

შეფასება). აღნიშნულის შედეგად, როგორც პროგრამების სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე **აფხაზეთის ნაერთი კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების აქტივების მუხლი არამართებულად არის შემცირებული 962 334 ლარით.

- სააგენტოს ბრძანების¹⁹ საფუძველზე ჩატარებული ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 44 031 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების და საცნობარო (02) ანგარიშზე არსებული აქტივის დანაკლისი. მათ შორის, საცნობარო ანგარიშზე – 02 „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული აქტივები“ აღრიცხული **აქტივების დანაკლისმა შეადგინა 5 290 ლარი**. აღნიშნული დანაკლისი სააგენტომ ამოიღო საცნობარო მუხლიდან, თუმცა არ ასახა „მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით (1-15-5000)“ ანგარიშზე, რომელზეც აღირიცხება მოთხოვნები ორგანიზაციის მომუშავეთა ან სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა ბრალეულობით ან სხვა მიზეზებით გამოწვეული არაფინანსური აქტივების დანაკლისის თანხები.

გარდა აღნიშნულისა, სააგენტოს მიერ 2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში მიღებული აქტივების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 156 247 ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობების დანაკლისი და ასევე 27 598 ლარის ღირებულების მომსახურების შესყიდვის²⁰ შეუსრულებლობა. **ჯამში 183 845 ლარის** აქტივებისა და მომსახურების მიღება სააგენტოს მიერ ჩამოწერილი იქნა ხარჯებში მოქმედი ინსტრუქციის²¹ შეუსაბამოდ და არ ასახა მათი მოთხოვნების შესაბამის ანგარიშებზე.

შესაბამისად, როგორც პროგრამების სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე აფხაზეთის **ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების** მოთხოვნების მუხლი არამართებულად არის შემცირებული, **ჯამში – 189 135 ლარით**.

- სააგენტოს მიერ კაპიტალიზებულია შენობის²² სარდაფში შესრულებული სამუშაოების კაპიტალურ რემონტზე დახარჯული 132 916 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოების რეალობის დადგენის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ დანიშნულია ექსპერტიზა.

ზემოაღნიშნულ დანაკლისებსა და შეუსრულებელ მომსახურებაზე აღმრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

ზემოაღნიშნული შეცდომები მიუთითებს ორგანიზაციებში ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესში კონტროლის ნაკლოვანებაზე, რის შედეგადაც არაზუსტად, არასრულად და კლასიფიკაციის დარღვევით არის წარდგენილი არაფინანსური აქტივები როგორც უმაღლესი საბჭოს, პროგრამების სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, ასევე **აფხაზეთის ნაერთ კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაში.

¹⁹ 2021 წლის 18 ნოემბრის N50 ბრძანება.

²⁰ მათ შორის, 1800,0 ლარი ს/ს „თელასზე“ გადარიცხული თანხა.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N 17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის მე-8 მუხლის „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები“, 51-ე პუნქტი.

²² ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N15-ში მდებარე შენობა.

1.3 ვალდებულებები

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კრედიტორული დავალიანების ნაშთმა დევნილთა სამინისტროში შეადგინა 185 200 ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ვალდებულებები აღრიცხული იყო ხელშეკრულებებში გაწერილი თანხების და კვარტალური გეგმის მიხედვით. 2022 წლის I კვარტალში პირველადი დოკუმენტების მიღების შემდეგ, მოხდა ვალდებულებების დაფარვა, თუმცა ფაქტობრივი გადახდები განსხვავდებოდა მანამდე წინასწარ აღიარებული ვალდებულებების მონაცემებისგან. 2021 წლის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებების მუხლზე არ განხორციელდა წინასწარ აღებული ვალდებულებების კორექტირება ფაქტობრივი გადახდების მიხედვით. შედეგად, ვალდებულებების მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში 5 200 ლარით გაზრდილად არის ასახული. დაკორექტირებული ფინანსური ანგარიშგება სამინისტრომ წარადგინა მასში, თუმცა ვალდებულებების მუხლი არ დაკორექტირდა. შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებების მუხლი არაზუსტად არის წარმოდგენილი 5 200 ლარით გაზრდილი თანხით.

1.4 ფინანსური აქტივები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში აფხაზეთის ა/რ-ის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტოს მიერ 2021 წელს განხორციელდა როგორც ფულადი, ასევე ქონებრივი შენატანები და ასევე დივიდენდების ამოღება და ბიუჯეტში მიმართვა (იხ. ცხრილი N3). მიუხედავად აღნიშნულისა, სააგენტოს მიერ განხორციელებული არც ქონებრივი, არც წილობრივი ტიპის შენატანები და შემცირებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. შესაბამისად, არც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არის ასახული ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში.

ცხრილი N3. 2021 წლის ქონებრივი და თანხობრივი შენატანები შპს-ებში.

საწარმო	ზრდა		შემცირება
	რეინვესტირება	ქონებრივი შენატანები	ბიუჯეტში მიმართული თანხა
შპს „აფხაზეთიდან იგპ ზუგდიდის პოლიკლინიკა“	25000,00		34126,00
შპს „აფხაზეთიდან იგპ ფოთის პოლიკლინიკა“			33884,00
შპს „აფხაზეთიდან იგპ წყალტუბოს პოლიკლინიკა“	10000,00		7620,00
შპს „აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკლინიკა“	1168,00		
შპს „აფხაზეთიდან იგპ ჯვრის ამბულატორია“	3758,00	4191,40	14574,00
შპს „აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“	426,00		
შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი“	11312,00		12772,00
შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი - ცხუმი“		230,00	68,00
შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი - აფხაზეთი“	5958,00	3086,31	
შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი - ბიჭვინთა“	10000,00		6412,00
შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი - დიოსკურია“	13489,00		
შპს „სენაკის დევნილთა პოლიკლინიკა“	10000,00		10447,00
ჯამი	91111,00	7507,71	119903,00

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,²³ საჯარო სექტორის კომერციულ ერთეულებში არსებული წილების ასახვისათვის გამოიყენება

²³ სსბასს 35 - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, მუხლი 10, პუნქტი 46.

კაპიტალმეთოდი,²⁴ რაც ფინანსთა სამინისტროს აპარატსა და ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტოში არ არის განხორციელებული.

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, განსაზღვრულია სსბას-ების სავალდებულო მოთხოვნების გამოყენებიდან გადახრის საფუძვლები, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სავალდებულო მოთხოვნის შესრულება, ერთეულმა აღნიშნული ფაქტი უნდა გაითვალისწინოს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას და გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, შესაბამისი გადახვევის მიზეზის ახსნით. სამინისტროში არ არის შემუშავებული ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა, სადაც ახსნილი იქნებოდა სტანდარტის მოთხოვნებიდან გადახრის მიზეზები.

ზემოაღნიშნული მიუთითებს ორგანიზაციებში ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესში არასაკმარის კონტროლის მექანიზმებზე, რის შედეგადაც არ არის სრულად წარმოდგენილი ფინანსური აქტივები როგორც სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, ასევე აფხაზეთის ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.5 განმარტებითი

შენიშვნები

ფინანსთა სამინისტრო

ორგანიზაციაში რიცხული 2021 წელს ამორტიზებული 66 846 ლარის ღირებულების 7 ერთეული აქტივი არ აფასებულა და არც საცნობარო 08 ანგარიშზე ასახულა, მაშინ როდესაც მოქმედი ინსტრუქციის²⁵ შესაბამისად, „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ (08) აღრიცხება სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) ძირითადი აქტივები, საწყისი (ისტორიული) ღირებულების, არსებითი გაუმჯობესების, გადაფასების შედეგად განსაზღვრული ღირებულებების მითითებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩამოწერამდე“.

აფხაზეთის მთავრობა

დასაბუთებული საფუძვლის გარეშე, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის განკარგულებით,²⁶ სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელის²⁷ თანამდებობიდან გათავისუფლების გამო, მან მიმართა²⁸ სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს და ითხოვდა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მთავრობის განკარგულების ბათილად ცნობას, თანამდებობაზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას მთელი პერიოდისათვის. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულმა სასამართლომ 2021 წლის 16 თებერვლის სარჩელი განუხილველად დატოვა, რის შემდეგაც მოსარჩელემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომელმაც 2021 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი, ბათილად ცნო აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის განკარგულება მისი გათავისუფლების

²⁴ სსბასს 36 - მე-8 მუხლის - „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“ მიხედვით, კაპიტალ-მეთოდი გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ - მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებში/კაპიტალში ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

²⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის" 67-ე მუხლი.

²⁶ 2020 წლის 31 დეკემბრის N45 განკარგულება.

²⁷ ლ.დ.

²⁸ 2021 წლის 18 იანვარს.

შესახებ. ამასთანავე, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობას დაეკისრა კომპენსაციის ანაზღაურება 15 000 ლარის ოდენობით (ხელზე მისაღები), ხოლო სასარჩელო მოთხოვნა სამსახურში აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ, არ დააკმაყოფილა. საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით, საკომპენსაციო თანხამ სულ შეადგინა 18 750 ლარი.

აფხაზეთის მთავრობამ აღნიშნული ინფორმაცია არ შეიტანა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, კერძოდ, საცნობარო (06) ანგარიშზე „პირობითი ვალდებულებები“.²⁹

ჯანდაცვის სამინისტრო

- საცნობარო მუხლის (08) „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ შესწავლისას გაირკვა, რომ საქართველოს შსს-ს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს I განყოფილების 2020 წლის N-MN0000224303TC გამოძიების დაწყების შესახებ შეტყობინების მიხედვით, ქ. თბილისში, კალოუბნის N16-ში მდებარე ჯანდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელიდან ორი ცალი ტელევიზორის³⁰ ქურდობის ფაქტზე დაიწყო გამოძიება. აღნიშნული ტელევიზორები, საერთო ღირებულებით – 1 239 ლარი, სამინისტროს მიერ ამოღებულ იქნა საცნობარო მუხლიდან და, შესაბამისად, ინვენტარიზაციის მასალების მიხედვით არ მოძიებულა მათ შესახებ ინფორმაცია და არ გამოვლენილა დანაკლისი. შედეგად, მოქმედი ინსტრუქციის³¹ შესაბამისად არ მოხდა ზემოაღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში.
- საცნობარო (08) ანგარიშზე 100 081 ლარის ნაცვლად დაფიქსირებულია 110 842 ლარი. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების (08) საცნობარო მუხლი წარმოდგენილია 10 761 ლარით გაზრდილი თანხით.

დეგნილთა სამინისტრო

სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების საცნობარო (04) ანგარიშზე ასახულია 112 235 ლარის მატერიალური ფასულობები, ხოლო წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმებით, დაფიქსირდა 119 902 ლარი, სხვაობამ შეადგინა 7 667 ლარი. შესაბამისად, აღნიშნული თანხით შემცირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია.

ზემოაღნიშნული შეცდომები მიუთითებს ორგანიზაციებში ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესში შეუსაბამო კონტროლის მექანიზმებზე, რის შედეგადაც არაზუსტად და არასრულად არის წარდგენილი განმარტებითი შენიშვნები როგორც აფხაზეთის მთავრობის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ასევე აფხაზეთის ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

²⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 17 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის 65-ე მუხლი.

³⁰ „ვესტელის“ ფირმის.

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-9 პუნქტი.

1.6 მასშტაბის შეზღუდვა

განათლების სამინისტროს მიერ 2021 წელს ხორციელდებოდა „გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების ქვეპროგრამა“, რომლის ფარგლებში გაიხარჯა 334 080 ლარი. ბენეფიციარების (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გამგეები, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების დირექტორები, პედაგოგები) უზრუნველყოფა წარმოებდა ყოველთვიური/ყოველკვარტალური ფინანსური დახმარებით, რომლის ოდენობაც განსაზღვრული იყო ქვეპროგრამით. ბენეფიციართა სია განისაზღვრებოდა განათლების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ბენეფიციართა სიაში ან/და გასაცემი სახსრების ოდენობაში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდებოდა ასევე გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ წერილობით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ვინაიდან პოლიტიკური მდგომარეობის გამო შეუძლებელია გალის ტერიტორიაზე განთავსებული დაწესებულებების ფიზიკური შემოწმება და, შესაბამისად, ამ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის საქმიანობის ნამდვილობის დადასტურება, ხოლო სამინისტრო ბენეფიციართა დახმარებას ახორციელებდა გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (რომლის შემდგომ შესწავლასა და გადამოწმებას სამინისტრო ვერ ახერხებდა), შესაძლოა არსებობდეს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად და არაეფექტიანად გამოყენების რისკები. შესაბამისად, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ იქნა მოპოვებული რწმუნება აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემული ფინანსური დახმარების მიზნობრიობისა და სისწორის თაობაზე.

ვინაიდან განათლების სამინისტროს მხრიდან არ არის შემუშავებული კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ბენეფიციარების იდენტიფიცირებასა და გაცემული თანხების ფაქტობრივად დადასტურებას, იქმნება საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერად და არამიზნობრივად ხარჯვის რისკები.

ააიპ – სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტოს მიერ 2021 წელს განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მედიკამენტებით მხარდაჭერის პროგრამა;
- ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამა;
- სარიტუალო მომსახურების ანაზღაურების პროგრამა.

აღნიშნული პროგრამები ითვალისწინებდა სხვადასხვა სახის სამედიცინო ტექნიკისა და მედიკამენტების შემენას და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებას, ასევე გარდაცვლილი დევნილი მოსახლეობის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვენების უზრუნველყოფას. მიღებული აქტივებისა და მომსახურების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერენ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი პირები, რაც სააგენტოსათვის არის მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რაიმე სახის კონტროლის მექანიზმი ამ აქტივების აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნამდვილად გადატანის, დანიშნულებისამებრ წინასწარ განსაზღვრული პირების მიერ გამოყენების შემოწმებისა და დასტურის მოპოვების მიზნით სააგენტოს არ აქვს შექმნილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სხვა ხარჯების

მუხლზე აღრიცხული 121 498 ლარი წარმოადგენს პროგრამების ფარგლებში ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ ხარჯებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვავს მოსაზრებას აღნიშნული ხარჯების შესახებ.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ქვემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

2.1 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ხარვეზები

აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შემოწმებით გამოვლინდა, რომ რიგი ორგანიზაციების³² ფინანსურ ანგარიშგებებზე არასწორი ინფორმაცია იყო ასახული, კერძოდ:

ჯანდაცვის სამინისტრო

- კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ა(ა)იპ-ის ხარჯები წარმოდგენილია მთლიანად „სუბსიდიების“ მუხლში და არა იმ მუხლში, რომლითაც განხორციელდა ხარჯვა. შესაბამისად, 143 887 ლარის ასახვაზე დარღვეულია კლასიფიკაცია.
- ფინანსური ანგარიშგების „ფინანსურ მდგომარეობის შესახებ ანგარიშის“ დანართში „032 სულ ვალდებულებების“ გრაფაში არ ფიქსირდება ვალდებულებების ჯამური მონაცემი – 50 521 ლარი, რომელსაც იგივე ნაკლოვანება გააჩნია, რაც სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.
- სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანიზაციაზე – ა(ა)იპ – აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტოსათვის 17 914 ლარის აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა შეცდომით აღრიცხულია შიდა მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯების 5-52-0000 ანგარიშზე. ვინაიდან აღნიშნული ოპერაცია წარმოადგენს სასაქონლო ფორმით სახელმწიფო ორგანიზაციაზე გადაცემულ აქტივებს. შესაბამისად, უნდა კლასიფიცირებულიყო, როგორც სასაქონლო ფორმით გაცემული გრანტები – 5-32-0000. ამ შემთხვევაში დაფიქსირდა კლასიფიკაციის დარღვევა.
- ინსტრუქციის³³ შეუსაბამოდ, ყოველწლიურად დასარიცხი ცვეთის/ამორტიზაციის თანხის გაანგარიშებამ გამოიწვია³⁴ ცვეთის 1 736 ლარით ნაკლები თანხის დარიცხვა. ჯამში, დარიცხულ იქნა 1 584 ლარით ნაკლები.

განათლების სამინისტრო

- ინსტრუქციის³⁵ შეუსაბამოდ, 69 დასახელების 77 830 ლარის ღირებულების ფერწერული ნახატები საბუღალტრო ანგარიში – „ხელოვნების ნიმუშები“ 1-27-1200-ის ნაცვლად, აღრიცხულია 1-22-0000 ანგარიშზე.
- ინსტრუქციის³⁶ შეუსაბამოდ, 2021 წელს ძირითად აქტივებზე ზედმეტადაა

³² 6 (ექვსი) ორგანიზაცია.

³³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის მე-7 მუხლი.

³⁴ ავტომობილ „ჰიუნდაი იონიუხე“ სახ.ნომერი 00065FO.

³⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის მე-4 მუხლი და მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

³⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

დარიცხული ცვეთა – 5 582 ლარის ოდენობით, მათ შორის, 69 დასახელების 77 830 ლარის ღირებულების ფასეულობა – ფერწერული ნახატები აღრიცხულია როგორც აქტივი და დარიცხულია ცვეთა 1 489 ლარი. ასევე საახალწლო ნაძვის ხე,³⁷ რომლის ღირებულებაც 300 ლარი, არასწორადაა აღრიცხული, როგორც ფასეულობა და ექვემდებარება საცნობარო მუხლში (04) გადატანას, როგორც მცირეფასიანი მატერიალური აქტივი.

დევნილთა სამინისტრო

საქართველოში მოქმედი ინსტრუქციის³⁸ შესაბამისად, ყოველწლიურად დასარიცხი ცვეთის/ამორტიზაციის თანხა გაიანგარიშება აქტივის ცვეთადი/ამორტიზირებადი ღირებულების გაყოფით სასარგებლო მომსახურების ვადაზე. აღნიშნული მუხლის დარღვევით აქტივებზე ცვეთის გაანგარიშებამ გამოიწვია ცვეთის 1 837 ლარით ნაკლები თანხის დარიცხვა. კერძოდ, ძირითადი აქტივების რეესტრის მიხედვით დარიცხულ ცვეთასა და ფინანსურ ანგარიშში ასახულ ცვეთას შორის სხვაობამ შეადგინა 5 416 ლარით მეტი, ხოლო ცვეთის თანხების ხელახალი გაანგარიშებით უნდა დარიცხულიყო ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხასთან შედარებით – 1 837 ლარით ნაკლები.

ფინანსთა სამინისტრო

- ორგანიზაციის მიერ 2021 წელს შეძენილ აქტივებზე ზედმეტადაა დარიცხულია ცვეთა 1 157 ლარის ოდენობით, რითაც დარღვეულია ინსტრუქციის მოთხოვნები.³⁹
- 2022 წლის 1 იანვრისათვის ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ექსპლოატაციაში მყოფი ამორტიზებული ძირითადი აქტივების პირვანდელმა ღირებულებამ რეესტრის მიხედვით შეადგინა 100 270 ლარი, მათ შორის აღრიცხული იყო 2021 წელს გადაცემული 9 დასახელების 5 423 ლარის ღირებულების აქტივი. აქედან გამომდინარე, ექსპლოატაციაში მყოფი ამორტიზებული აქტივების ღირებულებამ შეადგინა 94 847 ლარი, რაც 4 823 ლარით ნაკლებია ფინანსური ანგარიშგების საცნობარო 08 ანგარიშზე დაფიქსირებული აქტივების ღირებულებაზე.⁴⁰

პროგრამების სააგენტო

- საცნობარო ანგარიშზე (04) 2022 წლის 1 იანვრისათვის სასაქონლო ფასეულობების ნაშთმა შეადგინა 92 440 ლარი, ფინანსური ანგარიშის განმარტებით ბარათში ასახული 90 189 ლარის ნაცვლად, შესაბამისად, სხვაობამ შეადგინა 2 251 ლარი.
- 2022 წლის 1 იანვრისათვის ძირითადი აქტივების პირვანდელი ღირებულების ნაშთი შეადგენდა 8 477 ლარს, ფინანსური ანგარიშგების

³⁷ საინვ. N22400219.

³⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-7 მუხლი.

³⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁰ 99,156 ლარი.

განმარტებით შენიშვნებში ასახული 7 326 ლარის ნაცვლად, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ 2021 წელს ამორტიზებული 1 151 ლარის პირვანდელი ღირებულების ძირითადი აქტივები არ იქნა ამოღებული ძირითადი აქტივების რეესტრიდან და გადატანილი 08 საცნობარო ანგარიშზე.

- სააგენტოს მიერ აღრიცხული არ იყო ქ. თბილისში მდებარე⁴¹ შენობის I სართულზე დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის კომპლექტი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 2 705 ლარი. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ძირითადი აქტივები ნაშთებში არ ასახულა.
- მოქმედი ინსტრუქციის⁴² შეუსაბამოდ, ძირითად აქტივებზე ცვეთის გაანგარიშებამ გამოიწვია ფინანსურ ანგარიშგებასთან შედარებით ცვეთის 5 063 ლარით მეტი თანხის დარიცხვა.

სავაჭრო პალატა

ორგანიზაციის მიერ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების⁴³ საფუძველზე ინდემწარმისგან⁴⁴ შეძენილია 6 000 ლარის ღირებულების ვიდეოკლიპი,⁴⁵ რასთან დაკავშირებითაც, აღნიშნული დოკუმენტაციის დედნები საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად ამოღებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ.⁴⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი ინსტრუქციის შეუსაბამოდ, რაც მიუთითებს ბუღალტრული აღრიცხვის/ანგარიშგების პროცესში კონტროლის მექანიზმების არარსებობაზე.

2.2 ბუღალტრული აღრიცხვის ნაკლოვანებები

აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან შედარებით გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები (იხ. დანართი N1):

უმაღლესი საბჭო

უმაღლეს საბჭოს არ გააჩნია საბუღალტრო გატარებების ბაზა; წარმოდგენილი ბაზა ჩამოტვირთულია ხაზინიდან და არასრულია და მასში არ არის ასახული საანგარიშგებო წელს განხორციელებული ყველა ოპერაცია, შესაბამისად, არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით და ბუღალტრული გატარებების წარმოება ატარებს შაბლონურ ხასიათს, რის გამოც ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ინსტრუქციის მოთხოვნების შეუსაბამოდ.

აფხაზეთის მთავრობა

⁴¹ მისამართი: თამარაშვილის ქ. N15.

⁴² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴³ 2021 წლის 30 ივლისის N7/13 ხელშეკრულება.

⁴⁴ გ.გ.

⁴⁵ 2021 წლის 25 აგვისტოს N50 მიღება-ჩაბარების აქტი.

⁴⁶ 2021 წლის 7 ოქტომბრის ამოღების ოქმი.

საბუღალტრო გატარებების ფინანსურ ანგარიშთან შედარებით გამოვლინდა სხვაობა – 3 344 ლარი და წარმოდგენს წინა წლებში ტრანსპორტზე ინსტრუქციის⁴⁷ შეუსაბამოდ დარიცხული ცვეთის ხარჯს.

ჯანდაცვის სამინისტრო

- სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერებით მიღებული შემოსავლების საბუღალტრო ანგარიშებზე გატარების, ფინანსურ ანგარიშგებასთან შედარებით აღმოჩნდა სხვაობა – 4 500 ლარი.
- 27 752 ლარის ღირებულების აქტივების ა(ა)იპ-ზე გადაცემის ოპერაცია გატარებულია როგორც საპროცენტო ხარჯი – 5-71-0000 ანგარიშზე, ვინაიდან აღნიშნული წარმოდგენს პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ხარჯებს გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (სამინისტროს მიდგომით სხვა ანალოგიურ შემთხვევებზე), შესაბამისად, უნდა აღრიცხულიყო 5-73-0000 ანგარიშზე.

განათლების სამინისტრო

- სამინისტროდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ სამინისტროს მიერ მიღებული 19 900 ლარის ღირებულების მატერიალური აქტივები 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „შემოსავლები გრანტებით“ მუხლის ნაცვლად ასახულ იქნა მუხლში – „შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“, მაშინ როცა მოქმედი ინსტრუქციის⁴⁸ მიხედვით, ტრანსფერი წარმოდგენს გარკვეული მიზნით ფულადი სახსრების გადაცემას.
- სამინისტროს საჟურნალო გატარებების ფინანსურ ანგარიშგებასთან შედარებით გამოვლინდა შეუსაბამოები წინა წლის თანხების უკან დაბრუნების არასწორი აღრიცხვის კუთხით, რაც მიუთითებს ბუღალტრული აღრიცხვის არასრულყოფილად წარმოებაზე.

დეწილთა სამინისტრო

სამინისტრო ბუღალტერიას აწარმოებს ხელით, მემორიალური ორდერებით, მოწოდებულ ბუღალტრულ გატარებებში არ ფიქსირდება 5-70-0000 მუხლზე გატარებები. შესაბამისად გამოვლინდა, რომ ბუღალტრული გატარებები არასრულია და მასში არ არის ასახული საანგარიშგებო წელს განხორციელებული ყველა ოპერაცია, რაც არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით და ბუღალტრული გატარებების წარმოება ატარებს შაბლონურ ხასიათს და ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ინსტრუქციის მოთხოვნების შეუსაბამოდ.

ფინანსთა სამინისტრო

ორგანიზაცია ბუღალტერიას აწარმოებს ბუღალტრული პროგრამით, თუმცა აუდიტის ჯგუფს აუდიტის მიმდინარეობისას ვერ მიეწოდა ბუღალტრული გატარებები, რის გამოც ხარჯების კლასიფიკაციის შემოწმება ჩატარდა ხაზინის

⁴⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 53.

⁴⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის თაობაზე“.

მონაცემებზე, თუმცა ხაზინის მონაცემებსა და ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს შორის ფიქსირდება შეუსაბამობა. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის ან/და ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით და ბუღალტრული გატარებების წარმოება ატარებს შაბლონურ ხასიათს. აქედან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ინსტრუქციის მოთხოვნების შეუსაბამოდ.

იუსტიციის მინისტრის აპარატი

- აქტივების საბუღალტრო ანგარიშებზე გატარებების, ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ მონაცემებთან შედარებით გამოვლინდა სხვაობა – 2 358 ლარი.
- ინსტრუქციის⁴⁹ შეუსაბამოდ ბუღალტრული აღრიცხვა ორგანიზაციაში წარმოებს ძველი ანგარიშთა გეგმის მიხედვით.
- ძველი ანგარიშთა გეგმის მიხედვით მატერიალური მარაგები საბუღალტრო ანგარიშებზე არასრულადაა გატარებული და ფინანსურ ანგარიშგებასთან ასახულ მონაცემებთან სხვაობამ შეადგინა 5 047 ლარი.
- მინისტრის აპარატის ბუღალტრული გატარებების ბაზაში გრანტების ხარჯვით მუხლზე საბუღალტრო გატარებები არ ფიქსირდება, მაშინ როდესაც განხორციელებულია 55 453 ლარის გრანტის სახით გადაცემები.
- მინისტრის აპარატი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ელექტრონული ბუღალტრული პროგრამით, თუმცა მოწოდებული ბუღალტრული გატარებების ბაზის ფინანსური ანგარიშგების მონაცემებთან შედარებით გამოვლინდა სხვაობები რამდენიმე მუხლზე, რაც გამოწვეულია ბუღალტრული გატარებების არასრულყოფილად წარმოებით. თვეების მიხედვით ბუღალტრული გატარებების ანალიზით გამოვლინდა, რომ გატარებების უმრავლესობა განხორციელებულია დეკემბერში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბუღალტრული აღრიცხვა არ წარმოებს თანმიმდევრულად და ოპერაციების აღრიცხვა არ ხდება მათი შესრულების თარიღით. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით და ბუღალტრული გატარებების წარმოება ატარებს შაბლონურ ხასიათს. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ინსტრუქციის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

პროგრამების სააგენტო

- სააგენტოს სხვა ხარჯების კლასიფიკაციის შემოწმებით გამოვლინდა 100 000 ლარის ფულადი გრანტები, რომლებიც არასწორად არის აღრიცხული ტრანსფერების მუხლზე, ვინაიდან გაფორმებული ხელშეკრულებით ის წარმოადგენდა კონკრეტული მიზნით გრანტის სახით გაცემულ თანხას და წარმოსადგენი იყო შესრულების დოკუმენტაცია.
- ძირითადი აქტივების 27-4200 ანგარიშზე გატარებულია 50 446 ლარის ღირებულების ის ძირითადი აქტივები, რომლებიც შესყიდვის დროს

⁴⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 მუხლი.

გამიზნული იყო ბენეფიციარებზე გადასაცემად. მოქმედი ინსტრუქციის⁵⁰ მიხედვით, შემდგომი გაყიდვის ან სხვა ერთეულზე გადაცემის მიზნით შეძენილი ისეთი საქონელი, რომლის ფიზიკური ფორმის მკვეთრი ცვლილებები არ ხორციელდება, რამდენადაც შესყიდვის მომენტში აღნიშნულ საქონელს უკვე გააჩნია მზა პროდუქციის სახე აღირიცხება 1-14-4000 ანგარიშზე, როგორც „გასაყიდად ფლობილი საქონელი“.

ა(ა)იპ – საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისთვის სხვა ხარჯების მუხლის განხორციელებული ოპერაციების შემოწმებით გამოვლინდა, რომ ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები და წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების მონაცემები არ შეესაბამება ერთმანეთს, რაც გამოწვეულია ბუღალტრული გატარებების არასრულყოფილად წარმოებით. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით და ბუღალტრული გატარებების წარმოება ატარებს შაბლონურ ხასიათს, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ინსტრუქციის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

აფხაზეთის ა/რ-ის იკპ – დევნილთა მომსახურების სააგენტოს არ გააჩნია ბუღალტრული პროგრამა და ბუღალტერია წარმოებს ხელით, მემორიალური ორდერებით, თუმცა აუდიტის ჯგუფს აუდიტის მიმდინარეობის პროცესში ვერ მიეწოდა ბუღალტრული გატარებების მემორიალური ორდერები. შესაბამისად, ხარჯების კლასიფიკაციის შემოწმება ჩატარდა ხაზინის მონაცემებზე, თუმცა ხაზინის მონაცემებსა და ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს შორის ფიქსირდება შეუსაბამობა. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის ან/და ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით და ბუღალტრული გატარებების წარმოება ატარებს შაბლონურ ხასიათს. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ინსტრუქციის მოთხოვნების შეუსაბამოდ.

ა(ა)იპ – აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტოს არ გააჩნია ბუღალტრული პროგრამა და ბუღალტერია წარმოებს ხელით, თუმცა აუდიტის ჯგუფს აუდიტის მიმდინარეობის პროცესში მაინც ვერ მიეწოდა ბუღალტრული გატარებების მემორიალური ორდერები. შესაბამისად, ტესტირება ჩატარდა ხაზინის მონაცემებზე, თუმცა ხაზინის მონაცემებსა და ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს შორის ფიქსირდება შეუსაბამობა და ასევე ბუღალტრული გატარებების არ არსებობის პირობებში იქმნება „სუბსიდიის“ მუხლით გაწეული ხარჯების ფინანსურ ანგარიშგებაზე არასწორად და არასრულად აღრიცხვის რისკები.

სსიპ – აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტოს არ აქვს ბუღალტრული პროგრამა და აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას ქაღალდის მემორიალური ორდერებით, რომლებზეც ტესტირება ვერ ჩატარდა. ხაზინისა და ფინანსური ანგარიშგების მონაცემების შედარებით გამოვლინდა შეუსაბამობები, რომლებიც გამოწვეულია უსასყიდლო გადაცემებით. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის მოუწესრიგებლობის პირობებში იქმნება გაწეული ხარჯების ფინანსურ ანგარიშგებაზე არასწორად და

⁵⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N 17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის“ მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი.

არასრულად აღრიცხვის რისკები.

სსიპ – აფხაზეთის ა/რ-ის საგაჭრო-სამრეწველო პალატის ბუღალტრული პროგრამით წარმოებული ბუღალტრული გატარებების ბაზის ფინანსური ანგარიშგების მონაცემებთან შედარებით, გამოვლინდა სხვაობები რამდენიმე მუხლზე, რაც გამოწვეულია ბუღალტრული გატარებების არასრულყოფილებით. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით და ბუღალტრული გატარებების წარმოება ატარებს შაბლონურ ხასიათს. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ინსტრუქციის მოთხოვნების შეუსაბამოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებები არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით და ბუღალტრული გატარებების წარმოება ამ სტრუქტურებში ატარებს შაბლონურ ხასიათს. შესაბამისად, ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება მოქმედი ინსტრუქციით⁵¹ დადგენილი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

2.3 შრომის ანაზღაურება

2.3.1 შვებულების ანაზღაურების კანონმდებლობასთან შეუსაბამობა

უმაღლესი საბჭო

საქართველოში მოქმედი შრომის კოდექსის მიხედვით, უმაღლესი საბჭოს წევრი წელიწადში სარგებლობს 24 სამუშაო (უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით 30 კალენდარული დღე) დღის ოდენობის შვებულებით, რომელიც უმაღლესი საბჭოს წევრს რეგლამენტის მიხედვით მიეცემა უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში, მთლიანად ან 2 ნაწილად. ასევე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს შინაგანაწესის მიხედვით, შვებულების მოთხოვნის შესახებ განცხადება წერილობითი ფორმით წარედგინება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს (უმაღლესი საბჭოს აპარატის იმ თანამშრომლების მიერ, რომლებსაც ნიშნავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე) ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს (იმ თანამშრომლების მიერ, რომლებსაც ნიშნავს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი) საშვებულებო პერიოდის დაწყებამდე სამი სამუშაო დღით ადრე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 2021 წელს უმაღლესი საბჭოს წევრებმა შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით შესაბამისი განცხადებისა და ბრძანების გარეშე 2 თვის განმავლობაში (62 კალენდარული დღე) ისარგებლეს შვებულებით. შესაბამისად, 1 თვის შვებულების ანაზღაურება ჯამში 85 814 ლარი გაცემულია ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერ ხარჯვას.

2.3.2 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმების ხარვეზები

პროგრამებისა და სერვისების სააგენტო

1. პროგრამების სააგენტოს მიერ 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხოვნობამ გადააჭარბა კანონმდებლობით დადგენილ ნორმას. კერძოდ, 30 დღეზე მეტი ვადით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 30 თანამშრომლიდან 25 მათგანის დასაქმების საკითხი უნდა შეთანხმებულიყო

⁵¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 მუხლი.

აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობასთან.⁵² ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე 2021 წელს დასაქმებული აღნიშნული 25 პირის წლიურმა შრომის ანაზღაურებამ ჯამში შეადგინა 127 927 ლარი. შესაბამისად, დაფიქსირდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა მოქმედი კანონმდებლობის გაუთვალისწინებლად.

2. სააგენტოს მიერ თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი თანხით 3 400 ლარი არ არის დეკლარირებული შემოსავლების სამსახურში, კანონის⁵³ შესაბამისად, რაც საშემოსალო დეკლარაციის არასრულად წარდენის შედეგია და მიუთითებს სააგენტოში არასათანადოდ დანერგილ კონტროლზე და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობაზე.

ორგანიზაციის მიერ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა და შრომის ანაზღაურების დეკლარირების პროცესში პასუხისმგებელი პირების არასათანადოდ შესრულებული სამუშაოს შედეგად, დაფიქსირდა საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერი ხარჯვა.

2.4 სუბსიდიები

აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ებისათვის საბიუჯეტო სახსრების (რამდენიმე პროგრამული ხარჯის გარდა) გამოყოფა ხორციელდება „25 სუბსიდიების“ მუხლზე. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციების მიერ საკასო ხარჯვა მიმდინარეობდა მხოლოდ „25 სუბსიდიების“ მუხლით. მიუხედავად აღნიშნულისა, სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას მაკონტროლებელ ორგანოებს წარუდგენენ გაწეული ხარჯის ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ჩაშლილად შესაბამის მუხლებზე, ხოლო კონსოლიდაციის პროცესში მაკონტროლებლის მიერ ხდება აღნიშნული ხარჯების „25 სუბსიდიების“ მუხლზე კონსოლიდირება. ვინაიდან ფინანსურ ანგარიშგებაში სუბსიდიები აისახება მხოლოდ ძირითად მუხლად და არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია ქვემუხლების შესახებ, შესაბამისად, აფხაზეთის ა/რ-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზე ჯამში – 4 722 655 ლარის ხარჯების დანიშნულების (შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება, პრემია, დანამატი, მივლინება, წარმომადგენლობითი ხარჯი, ტრანსპორტის ხარჯი და სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები) შესახებ ინფორმაცია ვერ იდენტიფიცირდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

არ არის შემუშავებული (დანერგილი) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა,⁵⁴ რის შედეგად მომხმარებლისათვის გაურკვეველი რჩება აღნიშნული საბიუჯეტო სახსრების ეკონომიკური შინაარსის შესახებ დეტალური ინფორმაცია (იხ. ცხრილი N4).

ცხრილი N4. სუბსიდიების ხარჯების დანიშნულების მიხედვით წარმოდგენა (ლარი)⁵⁵

დასახელება	სუბსიდიების ხარჯის ჩაშლილ მუხლებზე წარმოდგენა

⁵² საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 29, პუნქტი 4, საქართველოს კანონი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, მუხლი 25, პუნქტი 3;

⁵³ საქართველოს საგადასახადო კოდექსი 154-ე მუხლი, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „გ.ა“;

⁵⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 1; მუხლი 6, პუნქტი 1, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები; მუხლი 8, პუნქტი 1, „თ“ ქვეპუნქტი.

⁵⁵ ხაზინის ამონაწერი 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ (ფორმა E6).

მუხლის კოდი	შრომის ანაზღაურება	საქონელი და მომსახურება	სოციალური (დამქირავებლის)	სხვა ხარჯები
2.5.3.1	2.5.3.1 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - სხვა დანარჩენი			567 780
2.5.3.2	2.5.3.2 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - მივლინება ქვეყნის შიგნით	32 872		
2.5.3.3	2.5.3.3 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - მივლინება ქვეყნის გარეთ	14 473		
2.5.3.4	2.5.3.4 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - თანამდებობრივი სარგო	2 412 630		
2.5.3.6	2.5.3.6 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - პრემია	13 525		
2.5.3.7	2.5.3.7 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - დანამატი	21 941		
2.5.3.8	2.5.3.8 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - ჰონორარი	2 933		
2.5.3.11	2.5.3.11 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება ფულადი ფორმით		21 700	
2.5.3.12	2.5.3.12 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგო	1 620 504		
2.5.3.14	2.5.3.14 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ჯილდო/პრემია	3 150		
2.5.3.15	2.5.3.15 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დანამატი	6 110		
2.5.3.16	2.5.3.16 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ჰონორარი	587		
2.5.3.18	2.5.3.18 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - სოციალური დახმარება ფულადი ფორმით		3 450	
2.5.3.19	2.5.3.19 სუბსიდიები - სხვა სექტორებს - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება ფულადი ფორმით		1 000	
ჯამი:	2 451 029	1 677 696	26 150	567 780

3. სხვა გარემოებები

3.1 უძრავი ქონების სარგებლობის ნაკლოვანებები

ჯანდაცვის სამინისტრო

სამინისტროს ძირითადი აქტივების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ სამინისტროს ბალანსზე რიცხული ფართის ორ ოთახში⁵⁶ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის⁵⁷ გარეშე, განთავსებულია სამინისტროს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ – აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტო. სამინისტროში ა(ა)იპ-ისადმი ფართის სარგებლობაში გადაცემის რაიმე სამართლებრივი დოკუმენტი ვერ მოიძებნა.

დეწილთა სამინისტრო

სამინისტროს ძირითადი აქტივების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ სამინისტროს ბალანსზე რიცხული ფართის სამ ოთახში⁵⁸ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განთავსებულია სამინისტროს მიერ დაფუძნებული სსიპ – აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დეწილთა მომსახურების სააგენტო. სამინისტროში სსიპ-ისადმი ფართის სარგებლობაში გადაცემის რაიმე სამართლებრივი დოკუმენტი ვერ მოიძებნა.

ფინანსთა სამინისტრო

სამინისტროს ანგარიშგებაში აღრიცხული, დაბა წყნეთში 559 კვ.მ მიწის ნაკვეთზე,⁵⁹ საჯარო რეესტრის მონაცემებით დარეგისტრირებულია შენობა-ნაგებობა, თუმცა საკადასტრო ნახაზში არ ფიქსირდება შენობა-ნაგებობის დაზუსტებული ფართობი, ასევე ფინანსთა სამინისტროს ძირითადი აქტივების რეესტრში ასახულია მხოლოდ მიწა, ხოლო შენობა-ნაგებობის ღირებულება დღემდე არ არის შეფასებული და აღრიცხული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამების სააგენტო

სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული უძრავი ქონების რეესტრის შესწავლით დადგინდა, რომ:

- ქ. თბილისში, ყაზგეგის ქ. N42 - 42^ა მდებარე შენობის⁶⁰ II სართულის 133,18 კვ.მ ფართობიდან, 65,18 კვ.მ გამოუყენებელია.
- ქ. ქუთაისში, გუგუნავას ქ. N1, ნაკვეთ 1-ში⁶¹ მდებარე 17084 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განლაგებული 159,08 კვ.მ N1 და N2 შენობა-ნაგებობები გამოუყენებელია.
- ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში⁶² მდებარე 185,766 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გამოუყენებელია.
- ქ. თბილისში, კრწანისის ქ. N15-ში მდებარე⁶³ 150 000 კვ.მ რეკრეაციული ზონა გამოუყენებელია.

⁵⁶ 28 კვ.მ.

⁵⁷ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პუნქტი 1.

⁵⁸ 37,59 კვ.მ.

⁵⁹ საკადასტრო კოდი: 01.20.01.104.068.

⁶⁰ საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.155.01.513.

⁶¹ საკადასტრო კოდი: 03.05.24.398.

⁶² საკადასტრო კოდი: 43.09.02.399.

⁶³ საკადასტრო კოდი: 81.16.03.109.

გარდა ზემოაღნიშნულისა:

- ქ. თბილისში, მეველის ქ. N17-ში მდებარე⁶⁴ 2369 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე⁶⁵ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ კერძო პირები.⁶⁶
- ხობის რაიონის სოფელ ხამისკურში მდებარე⁶⁷ 4200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განლაგებულ 550 კვ.მ შენობა-ნაგებობაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე საქმიანობას ახორციელებენ კერძო პირები.⁶⁸

ზემოაღნიშნული უძრავი ქონების კანონშესაბამო⁶⁹ გამოყენება მიუთითებს სახელმწიფო ქონების არამართლზომიერი და არამიზნობრივი სარგებლობის ფაქტებზე.

3.2 ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

აფხაზეთის მთავრობა

- მთავრობას 2021 წელს მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია არ ჩატარებია, რითაც დარღვეულია საქართველოში მოქმედი აღრიცხვის ინსტრუქცია.⁷⁰
- ორგანიზაციაში ჩატარებული ინვენტარიზაციის დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა, რომ ინვენტარიზაციის ჩატარების დროს არ არის შედგენილი ინვენტარიზაციის შედარების უწყისები, რითაც დაირღვა მოქმედი ინსტრუქციის⁷¹ მოთხოვნები.

⁶⁴ საკადასტრო კოდი: 01.17.12.016.015.

⁶⁵ N1 - 143,74 კვ.მ, N2 - 153,62 კვ.მ, N3 - 23,83 კვ.მ, N4 - 23,83 კვ.მ, N5 - 13,65 კვ.მ და N6 - 3,72 კვ.მ შენობა-ნაგებობები.

⁶⁶ რ.ნ., ა.ჩ., დ.ჩ., გ.ო. და დ.ქ.

⁶⁷ საკადასტრო კოდი: 45.19.22.029.

⁶⁸ კოოპერატივი „ლავერ ჯორჯია“.

⁶⁹ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁷⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ ინსტრუქციის მე-9 მუხლის „ა“ და „ვ“ პუნქტები.

⁷¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ ინსტრუქციის მე-12 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები.

4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას, ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;
- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის, თუმცა მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ექვექვემ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები


ხელმოწერა

მიხეილ გოდოლაძე
უფროსი აუდიტორი

ეთერ კაცაძე
უფროსი აუდიტორი

ფრიდონ დონაძე
უფროსი აუდიტორი

ნინო ბრეგვაძე
აუდიტორი



დანართები

დანართი N1. ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებისა და წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების მონაცემების შეუსაბამობები

კოდი	ანგარიშის დასახელება	2021 წლის ბრუნვის შედეგი			
		ფინანსური ანგარიშგება	ბუღალტრული გატარებები	შეუსაბამობა	
უმაღლესი საბჭო					
004	მატერიალური მარაგები	6 682	5 468	1 214	
006	სულ: მოკლევადიანი აქტივები	7 884	6 670	1 214	
008	ძირითადი აქტივები	- 240 046	- 247 301	7 255	
010	არამატერიალური აქტივები	2 675	3 000	-	325
014	სულ: გრძელვადიანი აქტივები	- 237 371	- 244 301	6 930	
015	სულ: აქტივები	- 229 487	- 237 631	8 144	
034	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი	- 238 480	- 246 624	8 144	
035	სულ: წმინდა აქტივები/კაპიტალი	- 238 480	- 246 624	8 144	
036	სულ: ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი	- 229 487	- 237 631	8 144	
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	2 892 358	0	8 531	
012	სულ: შემოსავლები	3 632 430	0	8 531	
013	შრომის ანაზღაურება	2 198 432	0	-	47 961
014	საქონელი და მომსახურება	696 744	0	-	33 996
015	გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიები	867 810	0	890	
017	ცვეთა და ამორტიზაცია	87 109	0	-	6 930
023	სულ: ხარჯები	3 870 910	0	-	87 997
024	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)	- 238 480	- 335 008	96 528	
ჯამი:		12 611 203	- 1 779 983	-	13 537
აფხაზეთის მთავრობა					
008	ძირითადი აქტივები	- 3	3 341	-	3 344
014	სულ: გრძელვადიანი აქტივები	- 1 762	1 583	-	3 344
015	სულ: აქტივები	- 2 001	1 343	-	3 344
034	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი	- 4 646	- 1 302	-	3 344
035	სულ: წმინდა აქტივები/კაპიტალი	- 4 646	- 1 302	-	3 344
036	სულ: ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი	- 2 001	1 343	-	3 344
017	ცვეთა და ამორტიზაცია	67 424	-	3 344	
023	სულ: ხარჯები	1 991 741	-	3 344	
024	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)	- 4 646	- 1 302	-	3 344
ჯამი:		2 039 460	3 705	-	16 721
ჯანდაცვის სამინისტრო					
032	სულ: ვალდებულებები	0	43 920	-	43 920
003	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	241	0	241	

006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	2 142 486	0	4 500
012	სულ: შემოსავლები	3 057 508	0	4 741
016	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	17 914	0	241
018	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	1 358 106	0	4 500
023	სულ: ხარჯები	2 934 390	0	4 741
ჯამი:		9 510 645	43 920 -	24 956
განათლების სამინისტრო				
013	შრომის ანაზღაურება	745 435	0 -	654
015	გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიები	318 846	0 -	1 400
023	სულ: ხარჯები	1 759 807	0 -	2 054
024	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)	- 5 991 -	8 045	2 054
ჯამი:		2 818 097 -	8 045 -	2 054
დეწილთა სამინისტრო				
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	0	668 -	668
004	მატერიალური მარაგები	1 951 -	59 223	61 175
006	სულ მოკლევადიანი აქტივები	1 951 -	58 555	60 507
008	ძირითადი აქტივები	114 955	35 049	79 906
010	არმატერიალური აქტივები	2 619	8 260 -	5 641
014	სულ გრძელვადიანი აქტივები	117 574	43 309	74 265
015	სულ აქტივები	119 525 -	15 246	134 771
017	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	0 -	17 270	17 270
018	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა	174 874	33 816	141 058
024	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	174 874	16 546	158 328
032	სულ ვალდებულებები	174 874	16 546	158 328
034	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი	- 55 349 -	206 229	150 880
035	სულ: წმინდა აქტივები/კაპიტალი	- 55 349 -	206 229	150 880
036	სულ: ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი	119 525 -	189 683	309 209
003	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	1 536	0	1 536
004	შემოსავლები გრანტებით	192 368	0	99 283
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	3 482 348	0	3 482 348
007	შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა	6 237	0	6 237
012	სულ: შემოსავლები	3 682 488	0	3 589 403
014	საქონელი და მომსახურება	727 230	0 -	187 507
015	გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიები	418 963	0 -	218 578
016	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	7 773	0	7 773
017	ცვეთა და ამორტიზაცია	50 379	0	50 379

018	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	737 646		0	679 711
023	სულ: ხარჯები	3 737 837		0	331 777
024	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)	- 55 349	-	3 312 975	3 257 626
ჯამი:		13 881 481	-	3 911 217	12 590 255
იუსტიციის მინისტრის აპარატი					
014	საქონელი და მომსახურება	433 385		0	1 883
015	გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიები	172 384		0	112 436
017	ცვეთა და ამორტიზაცია	51 864		0 -	771
023	სულ: ხარჯები	1 353 200		0	113 548
024	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)	130 876		-	114 242
ჯამი:		2 141 709	-	-	112 855
სსიპ აფხაზეთის საგაჟრო-სამრეწველო პალატა					
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	6 050	-	56	6 106
004	მატერიალური მარაგები	-	-	1 440	1 440
006	სულ: მოკლევადიანი აქტივები	6 050	-	1 496	7 546
008	ძირითადი აქტივები	- 823 870	-	838 128	14 258
010	არამატერიალური აქტივები	8 791		-	8 791
	დაგროვილი ცვეთა			23 049 -	23 049
014	სულ: გრძელვადიანი აქტივები	- 815 079	-	815 079 -	0
015	სულ: აქტივები	- 809 029	-	816 575	7 546
018	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა	347	-	56	403
024	სულ: მოკლევადიანი ვალდებულებები	347	-	56	403
032	სულ: ვალდებულებები	347	-	56	403
034	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი	- 809 376		0 -	809 376
035	სულ: წმინდა აქტივები/კაპიტალი	- 809 376		0 -	809 376
036	სულ: ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი	- 809 029	-	56 -	808 973
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	168 395		233 924 -	65 528
007	შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა	54 828		0	54 828
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული მოგება	16 750		0	16 750
012	სულ: შემოსავლები	241 473		235 424	6 050
014	საქონელი და მომსახურება	97 604		97 258	347
015	გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიები	845 172		846 612 -	1 440
017	ცვეთა და ამორტიზაცია	7 717		0	7 717
023	სულ: ხარჯები	1 050 849		0	1 050 849
024	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)	- 809 376		0 -	809 376
ჯამი:		- 3 180 416	-	1 036 734 -	2 143 682

ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები(დაზუსტებული)
ფორმები და ახსნა-
განმარტებითი
შენიშვნები

2021 წელი
პერიოდი

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტრო

ორგანიზაცია


1800

პროგრამული კოდი

რამაზ ძიმისტარაშვილი
საგარეო დეპარტამენტის
უფროსი


ხელმოწერა

ლევან თევზაია
მინისტრი


ხელმოწერა

დანართი N1

1	ანგარიშვალდებული ურთულესი (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	აფხაზეთის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
2	ანგარიშვალდებული ურთულესი საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	ქ. თბილისი, თამარაშვილის N15-ა
3	საიდენტიფიკაციო ნომერი (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	205308521
	ორგანიზაციული ფორმა	სამინისტრო
	დაფინანსების წყარო	ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი
6	ანგარიშგების ტიპი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
7	ანგარიშგების პერიოდულობა	წლიური
8	ანგარიშგების თარიღი და პერიოდი	2021 წელი
9	ურთულესის მომცველობა (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემთხვევაში)	1. აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭო 2. აფხაზეთის არ მთავრობის აპარატი 3. აფხაზეთის არ უღმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 4. აფხ. არ. განათლებისა და კულტურის სამინისტრო 5. ზემო აფხაზეთში - აფხაზეთის არ მმართველობის წარმომადგენლობა 6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იმუღლებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო 7. აფხ. არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 8. იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სპ. აფხაზეთის არ მინ. აპარატი
10	ძირითადი საქმედებების ჩამონათვალი	1. 2. 3. 4.
11	საანგარიშგებო ვალუტა	ლარი
12	დამრგვალების დონე	ერთეული
13	ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მუხაზე საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	რასაზ მიმისტარაშვილი ტელ: 599 855 090 rdzimisarashevili.afsm@gmail.com

ხელმოწერა

დებარტამენტის უფროსი

მიღა პოლიტიკით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მინისტრი

ფინანსური შედეგადგენის ანგარიშები				
ატრეფიქი ქიქი	ფინანსური დეფინიციები	მუნიციპალიტეტი	საინფორმაციო სისტემების მართვა	მუნიციპალიტეტის საინფორმაციო სისტემების მართვა
ატრეფიქი				
მუნიციპალიტეტის ატრეფიქი				
001	მუნიციპალიტეტის ფინანსური ატრეფიქი	52	1,153,679.50	1,996,995.46
002	მუნიციპალიტეტის ატრეფიქი	52a	-	-
003	მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტის) მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის	52a	67,707.94	47,716.9
004	მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის	53	193,478.07	173,455.67
005	სხვა მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტის) ატრეფიქი	54	1,594,555.73	1,535,802.75
006	სხვა მუნიციპალიტეტის ატრეფიქი		3,009,421.24	3,753,970.79
კომუნიკაციების ატრეფიქი				
007	კომუნიკაციების ფინანსური ატრეფიქი	55	-	-
008	კომუნიკაციების ატრეფიქი	56	33,173,491.21	28,867,978.16
009	საინფორმაციო ტექნიკის	57	-	-
010	საინფორმაციო ტექნიკის ატრეფიქი	58	116,520.76	70,689.40
011	მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ატრეფიქი	59	-	-
012	მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ატრეფიქი	510	-	-
013	სხვა კომუნიკაციების (მუნიციპალიტეტის) ატრეფიქი	511	5,700.00	6,579.22
014	სხვა კომუნიკაციების ატრეფიქი		33,295,711.97	28,945,246.78
015	სხვა ატრეფიქი		36,305,133.21	32,699,217.57
კომუნიკაციების ატრეფიქი				
016	კომუნიკაციების ატრეფიქი ფინანსური ატრეფიქი	512	-	-
017	კომუნიკაციების საინფორმაციო ტექნიკის	517	-	-
018	კომუნიკაციების კომუნიკაციების მუნიციპალიტეტის, კომუნიკაციების	513a	427,688.60	53,226.03
019	კომუნიკაციების კომუნიკაციების	513a	-	-
020	კომუნიკაციების საინფორმაციო	513b	-	-
021	სხვა კომუნიკაციების ატრეფიქი	513a	4,090.57	63,740.83
022	კომუნიკაციების ფინანსური ატრეფიქი	513a	943,761.50	1,202,052.93
023	კომუნიკაციების ატრეფიქი და სხვა კომუნიკაციები	513a	-	-
024	სხვა კომუნიკაციების ატრეფიქი		1,375,540.67	1,319,019.79
კომუნიკაციების ატრეფიქი				
025	კომუნიკაციების ატრეფიქი ფინანსური ატრეფიქი	512	-	-
026	კომუნიკაციების საინფორმაციო ტექნიკის	517	-	9,000.00
027	კომუნიკაციების კომუნიკაციების მუნიციპალიტეტის ფინანსური ატრეფიქი	510	-	-
028	მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის კომუნიკაციების	59	-	-
029	კომუნიკაციების საინფორმაციო	513b	-	-
030	კომუნიკაციების კომუნიკაციების მუნიციპალიტეტის	513a	134,372.78	96,747.99
031	სხვა კომუნიკაციების ატრეფიქი		134,372.78	105,747.99
032	სხვა კომუნიკაციების ატრეფიქი		1,509,913.45	1,424,767.78
მუნიციპალიტეტის ატრეფიქი/კომუნიკაციები				
033	კომუნიკაციების მუნიციპალიტეტის		-	-
034	კომუნიკაციების მუნიციპალიტეტის		34,795,219.38	31,274,449.62
035	სხვა მუნიციპალიტეტის ატრეფიქი/კომუნიკაციები		34,795,219.38	31,274,449.62
036	სხვა კომუნიკაციების ატრეფიქი/კომუნიკაციები		36,305,132.83	32,699,217.40

* მოთხოვნულ შემთხვევაში აღსატყობი განმარტება ჩვეუნიანების ანგარიშების მიხედვითაა

საქონლის
 ბეჭდობა: 
 შიდა პოლიტიკით განმარტებული ინტე უფლებამოსილი
 პირები (სხვისი პირების შემთხვევაში)
 ინფორმაციის ხელმძღვანელი: 

ფინანსური შედეგების ანგარიშგება						
სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა*	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
			საბიუჯეტო ხაზსრუბი	არასაბიუჯეტო ხაზსრუბი	სულ	სულ
შემოსავლები						
001	საგადასახადო შემოსავლები	514 ა	-	-	-	-
002	სოციალური შენატანები	514 ბ1	-	-	-	-
003	შემოსავლები სამეცნიერო, კარიერებით და საურსებით	514 გ	1,783.60	-	1,783.60	-
004	შემოსავლები გრანტებით	514 დ	5,241,226.50	226,023.19	5,467,249.69	3,421,590.88
005	შემოსავლები გარე ტრანზაქციებით, რომლებიც სხვაგ	514 ე	21,879,692.64	98,898.69	21,978,591.33	19,593,103.09
006	შემოსავლები მიღებული ტრანსფერებით	514 ვ	-	-	-	-
007	შემოსავლები გაცემული ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა	515 ა	9,048.84	311,419.22	320,468.06	205,336.61
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შ	515 ბ 517 ა**	-	16,750.00	16,750.00	-
009	საპროცენტო შემოსავლები	515 ა	304,859.22	-	304,859.22	267,933.86
010	საექვო (უიმედო) მოთხოვნების/გაუფასურების/ღირებ	516	-	-	-	-
011	სხვადასხვა შემოსავლები	518	27,182.59	-	27,182.59	645.83
012	სულ შემოსავლები		27,463,793.39	653,091.10	28,116,884.49	23,488,610.27
ხარჯები						
013	მშენებლობის ხარჯები	517 ა	9,239,635.31	141,427.29	9,381,062.60	7,909,241.33
014	საქონელი და მომსახურება	517 ბ	3,772,300.34	231,605.33	4,003,905.67	3,310,902.89
015	გრანტები, გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სხვის	517 ა 517 ბ 517 გ	7,581,444.77	155,755.21	7,737,199.98	7,819,947.98
016	მიღებული ტრანსფერებით ხარჯები	517 ა	-	-	-	-
017	ცვეთა და ამორტიზაცია	517 ა	512,113.89	19,314.14	531,428.03	527,994.25
018	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	517 ბ	2,628,959.90	-	2,628,959.90	2,124,499.53
019	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან	515 ბ 517 ა**	-	-	-	-
020	საპროცენტო ხარჯები (ფინანსური ხარჯები)	517 ა	304,859.22	-	304,859.22	267,933.86
021	საექვო (უიმედო) მოთხოვნების/გაუფასურების/ღირებ	516	3,770.63	-	3,770.63	-
022	სხვადასხვა ხარჯები	518	4,928.70	-	4,928.70	11,041.00
023	სულ ხარჯები		24,048,012.76	548,101.97	24,596,114.73	21,971,560.84
024	პერიოდის ნამეტი (დღეგრძელობა)		3415780.63	104,989.13	3,520,769.76	1,517,049.43

* მოთხოვნილი შენიშვნები არის: ფინანსური შედეგების ანგარიშგების შესახებ და დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია.

** არის: გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯების მორის სხვაობა

ხელმოწერა

ბუღალტერი:
მიღა პოლიტიკით განსაზღვრული სხვა
უფლებამოსილი პირ(ები) (ასეთის არსებობის
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

ლ. ბი...

[illegible]

* 本報廣告刊例，請向本報廣告部索取。電話：(02) 8796-1234。

¹¹ <http://www.fishbase.org>, accessed 10/10/2011.

1997, 1998, 1999, 2000, 2001, 2002, 2003, 2004, 2005, 2006, 2007, 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017, 2018, 2019, 2020, 2021, 2022, 2023, 2024, 2025, 2026, 2027, 2028, 2029, 2030, 2031, 2032, 2033, 2034, 2035, 2036, 2037, 2038, 2039, 2040, 2041, 2042, 2043, 2044, 2045, 2046, 2047, 2048, 2049, 2050, 2051, 2052, 2053, 2054, 2055, 2056, 2057, 2058, 2059, 2060, 2061, 2062, 2063, 2064, 2065, 2066, 2067, 2068, 2069, 2070, 2071, 2072, 2073, 2074, 2075, 2076, 2077, 2078, 2079, 2080, 2081, 2082, 2083, 2084, 2085, 2086, 2087, 2088, 2089, 2090, 2091, 2092, 2093, 2094, 2095, 2096, 2097, 2098, 2099, 2100, 2101, 2102, 2103, 2104, 2105, 2106, 2107, 2108, 2109, 2110, 2111, 2112, 2113, 2114, 2115, 2116, 2117, 2118, 2119, 2120, 2121, 2122, 2123, 2124, 2125, 2126, 2127, 2128, 2129, 2130, 2131, 2132, 2133, 2134, 2135, 2136, 2137, 2138, 2139, 2140, 2141, 2142, 2143, 2144, 2145, 2146, 2147, 2148, 2149, 2150, 2151, 2152, 2153, 2154, 2155, 2156, 2157, 2158, 2159, 2160, 2161, 2162, 2163, 2164, 2165, 2166, 2167, 2168, 2169, 2170, 2171, 2172, 2173, 2174, 2175, 2176, 2177, 2178, 2179, 2180, 2181, 2182, 2183, 2184, 2185, 2186, 2187, 2188, 2189, 2190, 2191, 2192, 2193, 2194, 2195, 2196, 2197, 2198, 2199, 2200, 2201, 2202, 2203, 2204, 2205, 2206, 2207, 2208, 2209, 2210, 2211, 2212, 2213, 2214, 2215, 2216, 2217, 2218, 2219, 2220, 2221, 2222, 2223, 2224, 2225, 2226, 2227, 2228, 2229, 2230, 2231, 2232, 2233, 2234, 2235, 2236, 2237, 2238, 2239, 2240, 2241, 2242, 2243, 2244, 2245, 2246, 2247, 2248, 2249, 2250, 2251, 2252, 2253, 2254, 2255, 2256, 2257, 2258, 2259, 2260, 2261, 2262, 2263, 2264, 2265, 2266, 2267, 2268, 2269, 2270, 2271, 2272, 2273, 2274, 2275, 2276, 2277, 2278, 2279, 2280, 2281, 2282, 2283, 2284, 2285, 2286, 2287, 2288, 2289, 2290, 2291, 2292, 2293, 2294, 2295, 2296, 2297, 2298, 2299, 2300, 2301, 2302, 2303, 2304, 2305, 2306, 2307, 2308, 2309, 2310, 2311, 2312, 2313, 2314, 2315, 2316, 2317, 2318, 2319, 2320, 2321, 2322, 2323, 2324, 2325, 2326, 2327, 2328, 2329, 2330, 2331, 2332, 2333, 2334, 2335, 2336, 2337, 2338, 2339, 2340, 2341, 2342, 2343, 2344, 2345, 2346, 2347, 2348, 2349, 2350, 2351, 2352, 2353, 2354, 2355, 2356, 2357, 2358, 2359, 2360, 2361, 2362, 2363, 2364, 2365, 2366, 2367, 2368, 2369, 2370, 2371, 2372, 2373, 2374, 2375, 2376, 2377, 2378, 2379, 2380, 2381, 2382, 2383, 2384, 2385, 2386, 2387, 2388, 2389, 2390, 2391, 2392, 2393, 2394, 2395, 2396, 2397, 2398, 2399, 2400, 2401, 2402, 2403, 2404, 2405, 2406, 2407, 2408, 2409, 2410, 2411, 2412, 2413, 2414, 2415, 2416, 2417, 2418, 2419, 2420, 2421, 2422, 2423, 2424, 2425, 2426, 2427, 2428, 2429, 2430, 2431, 2432, 2433, 2434, 2435, 2436, 2437, 2438, 2439, 2440, 2441, 2442, 2443, 2444, 2445, 2446, 2447, 2448, 2449, 2450, 2451, 2452, 2453, 2454, 2455, 2456, 2457, 2458, 2459, 2460, 2461, 2462, 2463, 2464, 2465, 2466, 2467, 2468, 2469, 2470, 2471, 2472, 2473, 2474, 2475, 2476, 2477, 2478, 2479, 2480, 2481, 2482, 2483, 2484, 2485, 2486, 2487, 2488, 2489, 2490, 2491, 2492, 2493, 2494, 2495, 2496, 2497, 2498, 2499, 2500, 2501, 2502, 2503, 2504, 2505, 2506, 2507, 2508, 2509, 2510, 2511, 2512, 2513, 2514, 2515, 2516, 2517, 2518, 2519, 2520, 2521, 2522, 2523, 2524, 2525, 2526, 2527, 2528, 2529, 2530, 2531, 2532, 2533, 2534, 2535, 2536, 2537, 2538, 2539, 2540, 2541, 2542, 2543, 2544, 2545, 2546, 2547, 2548, 2549, 2550, 2551, 2552, 2553, 2554, 2555, 2556, 2557, 2558, 2559, 2560, 2561, 2562, 2563, 2564, 2565, 2566, 2567, 2568, 2569, 2570, 2571, 2572, 2573, 2574, 2575, 2576, 2577, 2578, 2579, 2580, 2581, 2582, 2583, 2584, 2585, 2586, 2587, 2588, 2589, 2590, 2591, 2592, 2593, 2594, 2595, 2596, 2597, 2598, 2599, 2600, 2601, 2602, 2603, 2604, 2605, 2606, 2607, 2608, 2609, 2610, 2611, 2612, 2613, 2614, 2615, 2616, 2617, 2618, 2619, 2620, 2621, 2622, 2623, 2624, 2625, 2626, 2627, 2628, 2629, 2630, 2631, 2632, 2633, 2634, 2635, 2636, 2637, 2638, 2639, 2640, 2641, 2642, 2643, 2644, 2645, 2646, 2647, 2648, 2649, 2650, 2651, 2652, 2653, 2654, 2655, 2656, 2657, 2658, 2659, 2660, 2661, 2662, 2663, 2664, 2665, 2666, 2667, 2668, 2669, 2670, 2671, 2672, 2673, 2674, 2675, 2676, 2677, 2678, 26

bioRxiv preprint doi: <https://doi.org/10.1101/110111>; this version posted November 1, 2016. The copyright holder for this preprint (which was not certified by peer review) is the author/funder, who has granted bioRxiv a license to display the preprint in perpetuity. It is made available under aCC-BY-NC-ND 4.0 International license.

Para maiores detalhes sobre este artigo, por favor, consulte o link abaixo:

Integrating the arts in mathematics

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება					
სტრუქტურის კოდი	დასახელება	წმინდა კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტ/დეფიციტი		სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
001	საწყისი ნაშთი	-	30,062,472.19	1,211,977.43	31,274,449.62
002	საადრინფეთ პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	51	-	-	-
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	51	-	-	-
004	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	-	30,062,472.19	1,211,977.43	31,274,449.62
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება					
005	დამფუძნებლების შენატანები	-	-	-	-
006	პერიოდის ნამეტ/დეფიციტი	-	3,415,780.63	104,989.13	3,520,769.76
007	შესაკუთრებისათვის გასანაწილებელი თანხები	-	-	-	-
008	საბოლოო ნაშთი	0	33,478,252.82	1,316,966.56	34,795,219.38

წმინდა საანგარიშგებო პერიოდი					
სტრუქტურის კოდი	დასახელება	წმინდა კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტ/დეფიციტი		სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
001	საწყისი ნაშთი	-	27,957,157.09	1,197,183.39	29,154,340.48
002	საადრინფეთ პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	51	-	-	0
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	51	603,059.71	-	603,059.71
004	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	-	28,560,216.80	1,197,183.39	29,757,400.19
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება			150,255.39	14,794.04	1,517,049.43
005	დამფუძნებლების შენატანები	-	-	-	0
006	პერიოდის ნამეტ/დეფიციტი	-	1,502,255.39	14,794.04	1,517,049.43
007	შესაკუთრებისათვის გასანაწილებელი თანხები	-	-	-	-
008	საბოლოო ნაშთი	0	30,062,472.19	1,211,977.43	31,274,449.62

* შიითხებულ მუნიციპალიტეტში წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების შესახებ დამატებითი დეტალური ინფორმაცია

ხელმოწერა

ბუღალტერი:

მიღა პოლიტიკით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი

პირის (ასათის არსებობის შემთხვევაში):

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

ს. ბ. ბ. ბ.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება						
მაგარიშკეტო პერიოდის						
სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა *	ფაქტობრივი ბიუჯეტი (საწყისი)	ფაქტობრივი ბიუჯეტი (საბოლოო)	ბიუჯეტის შესრულება	შესრულება (%)
	ბიუჯეტის შემოსულობები					
001	გადასახადები		9,500,000.00	10,370,000.00	10,658,056.86	103%
002	გრანტები		9,000,000.00	10,000,000.00	10,027,066.89	100%
003	სხვა შემოსულობები		400,000.00	400,000.00	351,210.00	88%
004	არაფინანსური აქტივების კლება		-	-	-	0%
005	ფინანსური აქტივების კლება		-	-	-	0%
006	ვალუდებულობების ზრდა		-	-	-	0%
007	სულ ბიუჯეტის შემოსულობები		18,900,000.00	20,770,000.00	21,036,333.75	291%
	ბიუჯეტის გადასახდელები					
008	შრომის ანაზღაურება		9,983,460.00	9,258,660.00	9,240,723.51	100%
009	საქონლური და მომსახურება		3,178,015.00	3,877,975.00	3,655,603.48	94%
010	პროცენტი		-	-	-	0%
011	სუბსიდიები		3,363,830.00	4,803,563.00	4,744,994.57	99%
012	გრანტები		-	4,440.00	4,440.00	100%
013	სოციალური დამხმარება		1,893,520.00	2,648,142.00	2,571,735.80	97%
014	სხვა ხარჯები		1,410,950.00	1,433,897.00	1,170,087.99	82%
015	არაფინანსური აქტივების ზრდა		229,500.00	543,938.00	510,099.38	94%
016	ფინანსური აქტივების ზრდა		-	-	-	0%
017	ვალუდებულობების კლება		-	-	-	0%
018	სულ ბიუჯეტის გადასახდელები		20,059,275.00	22,570,615.00	21,897,684.73	97%
019	ბიუჯეტის ნაშთი	N21	-	-	943,761.50	388%

* მითითებულ შემთხვევაში აღსანიშნავია ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების შეზღუდვით დაკავშირებით დეტალური

ხელმოწერა

ბუღალტერი:

მეფა პოლიტიკით განსაზღვრული
სხვა უფლებამოსილი პირ(ები)
(სვეთის არსებობის შემთხვევაში):

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შესავალი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2021 წლის წლიური კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის მიერ, რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური და ნაერთი (კონსოლიდირებული) ბუღალტრული ანგარიშგებების საფუძველზე.

რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებენ ძირითადად დარიცხვის მეთოდით. ასევე, მეთოდოლოგიით განსაზღვრულ შემთხვევებში, დასაშვებია საკასო მეთოდის გამოყენება.

კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის დროს გამოყენებულ იქნა შემდეგი ნორმატიული აქტები:

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით სამინისტრო გამოიყენებს შემდეგ სსბასს-ებს

სსბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“;

სსბასს 2 – „ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება“;

სსბასს 3 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“;

სსბასს 4 – „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები“;

სსბასს 9 – „შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან“;

სსბასს 12 – „მატერიალური მარაგები“;

სსბასს 13 – „იჯარა“;

სსბასს 14 – „ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები“;

სსბასს 17 – „ძირითადი აქტივები“;

სსბასს 19 – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“;

სსბასს 20 – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები“;

სსბასს 21 – „ფულადი სახსრების არ წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება“;

სსბასს 23 – „შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები)“;

სსბასს 24 – „ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში“;

სსბასს 31 – „არამატერიალური აქტივები“;

სსბასს 36 – „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“;

- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.

- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“.

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.
- საქართველოს „შრომის კოდექსი“.
- წლიური კანონი „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანება, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია შესახებ“.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 2021 წლის 04 თებერვლის №24 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 02 დეკემბრის ბრძანება N289, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N364, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილება, „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოყენებული ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N449, „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანება- „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის თაობაზე“.

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდაციას ექვემდებარება მხარჯავი დაწესებულებების ნაერთი და ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგებები.

აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულების მიერ მომზადებული ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგებები მოიცავს ქვემდებარე ერთეულების ინდივიდუალურ ბუღალტრულ ანგარიშგებებს. ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის პირველადი დოკუმენტების საფუძველზე განხორციელებული ბუღალტრული ჩანაწერებით.

ნაერთი (კონსოლიდირებული) ბუღალტრული ანგარიშგების შედგენისას გამოყენებულ იქნა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული კონსოლიდაციის ძირითადი პრინციპი - შიდა ოპერაციების ამოთიშვა (ელიმინირება), რომ არ მომხადრიყო ავტონომიური რესპუბლიკის

საბიუჯეტო ორგანიზაციებს და მხარჯავ დაწესებულებებს შორის განხორციელებული მონეტარული და არამონეტარული ოპერაციების შედეგად შემოსავლების და ხარჯების ორმაგად ასახვა და არაზუსტი და არასაიმედო ფინანსური შედეგების წარდგენა.

შიდა ოპერაციების ამოთიშვა განხორციელდა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათებისა და "არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად აქტივების/ვალდებულებების მიღება/გადაცემის შესახებ" ფორმის შესაბამისად.

1. კონსოლიდაციის პროცესში ელიმინირებას დაექვემდებარა არაგაცვლითი ოპერაციებით განხორციელებული ტრანსფერები:

ა) მიმღები საბიუჯეტო ერთეულის მიერ, აქტივების მიღებით აღიარებული შემოსავლები გრანტებით და ვალდებულების აღებით აღიარებული ხარჯები გრანტებით.

ბ) გამცემი საბიუჯეტო ერთეულების მიერ, აქტივების გაცემით აღიარებული ხარჯები გრანტებით და ვალდებულებების გადაცემით აღიარებული შემოსავლები გრანტებით.

2. მონეტარული შიდა ოპერაციით, გამცემი საბიუჯეტო ერთეულის მიერ მიღებული დაფინანსება აისახება, როგორც მიმღები საბიუჯეტო ერთეულის მიერ გაწეული ფაქტობრივი (საკასო) ხარჯები, საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად.

3. საბიუჯეტო ერთეულების ფაქტობრივი (საკასო) ხარჯები, დარიცხული შემოსავლები და ხარჯები (გარდა გადაფასების შედეგად ძირითადი აქტივების ღირებულების ზრდის/შემცირების შემთხვევებისა), საანგარიშო წლის ბოლოს ჯერ დაექვემდებარა გადახურვას საანგარიშო პერიოდის ნამეტი/დეფიციტის ანგარიშებზე, ხოლო შემდგომ ამ ანგარიშების დახურვით დაკორექტირდა გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშები, საქმიანობის სახეების მიხედვით.

კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგება მოიცავს შემდეგი მხარჯავი დაწესებულებების ფინანსურ ანგარიშგებებს:

1. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო (ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგება);
2. აფხაზეთის ა/რ მთავრობა (ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება);
3. აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო (ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება);
4. აფხაზეთის ა/რ განათლების და კულტურის სამინისტრო (ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება);
5. ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა (ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგება);
6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა სამინისტრო (ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება);
7. აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება);
8. იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი (ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
- ფინანსური შედეგების ანგარიშგება;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება;
- წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება;
- ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წარმოდგენილია ვერტიკალური ფორმატით. აქტივები სულ შეადგენს - 36305133,21 ლარს და გასულ წელთან შედარებით (32699218,08 ლარი) გაზრდილია - 3605915,64 ლარით.

მოკლევადიანი აქტივები სულ შეადგენს - 3009421,22 ლარს და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში შეადგენდა - 1996995,46 ლარს. წლის ბოლოსთვის ფულადი სახსრების ნაშთი შემცირდა - 843315,96 ლარით და შეადგინა - 1153679,50 ლარი. დეტალური მონაცემები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების N2 შენიშვნაში და წარმოადგენს: ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპების საკუთარ სახსრებს - 209917 ლარს N1-11-0000 ანგარიშზე და სალაროში არსებულ ფულად სახსრებს 1 ლარს, ასევე კომერციულ ბანკში არსებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფულად ნაშთი N1-11-2100 ანგარიშზე - 943761,50 ლარს. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებიდან ჩანს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ფულადი სახსრების მთლიანი შემოსულობა ბიუჯეტით შეადგენს - 21036333,75 ლარს, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით - 539018,09 ლარს. სულ - 21575351,84 ლარს (აღნიშნულ საბიუჯეტო შემოსავლებში - 911 ლარი განთავსებულია დროებით გაურკვეველ თანხებში, რაც წარმოადგენს გასული პერიოდის საკასო ხარჯების აღდგენის თანხას). ბიუჯეტით გასულმა თანხებმა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით შეადგინა - 21387585,35 ლარი, ხოლო არასაბიუჯეტო თანხებით - 452986,92 ლარი. სულ ბიუჯეტის გასავალმა შეადგინა - 21840572,27 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, წმინდა ფულადი სახსრები ბიუჯეტით წარმოადგენს დეფიციტს (21036333,75-21387585,35) - 351251,60 ლარს, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით ნამეტი შეადგენს (539018,09-452986,92) - 86031,17 ლარს. სულ საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების დეფიციტი შეადგენს (-351251,60+86031,17) - 265220,43 ლარს.

საინვესტიციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრები შეადგენს: ბიუჯეტით - 510099,38 ლარს, (მხარჯავი დაწესებულებებისათვის წარმოადგენს შემოსავლებს შიდა კაპიტალური ტრანსფერებით, ხოლო ხაზინისათვის - შიდა კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯებს და დაექვემდებარა ელიმინირებას), ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით - 58995,19 ლარს. საინვესტიციო საქმიანობამ მთლიანად მოიცვა ძირითადი აქტივების შესყიდვა და სულ ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან შეადგენს - 569094,57 ლარს.

წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან შეადგენს - 9000 ლარს (სესხის თანხების დაფარვა).

სამივე კომპონენტის მიხედვით ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება შეადგენს (-265220,43 - 569094,57-9000) - 843315 ლარს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთმა პერიოდის დასაწყისისათვის შეადგინა - 1996995,46 ლარი და შესაბამისად ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს შეადგენს

(-843315,96+1996995,46) – 1153679,50 ლარს.

მოკლევადიანი მიმდინარე დებიტორული დავალიანებები წლის დასაწყისისათვის შეადგენს - 47716,91 ლარს. პერიოდის ბოლოსათვის დავალიანებები გაიზარდა – 19991,03 ლარით და შეადგინა – 67707,94 ლარი. დეტალური მონაცემები მოცემულია N2-ა შენიშვნების ცხრილში და ძირითადად წარმოადგენს სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებულ მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებს - 67368,94 ლარს (აღირიცხება N1-13-0000 ძირითადი ანგარიშების ქვეანგარიშებზე) და სხვა (მიმდინარე) მოთხოვნების აკუმულირებული გაუფასურების ზარალს - 339 ლარს N1-13-9500 ანგარიშზე.

ფინანსური ანგარიშგების N4 შენიშვნაში მოცემულია, მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები წინასწარი გადახდებით - N1-15-1000 ანგარიშის ქვეანგარიშებზე - 26654,38 ლარი და მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით - 1567901,35 ლარი და ძირითადად წარმოადგენს კოდორის ხეობაში დარჩენილი აქტივების ღირებულებას, რომელიც ირიცხება აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე - 1504831,89 ლარს, ხოლო - 63069,46 ლარი წარმოადგენს დანაკლისის თანხებს, რომელზეც მიმდინარეობს სამართლებრივი ღონისძიებებით განსაზღვრული პროცედურები.

-N3 შენიშვნაში მოცემულია მატერიალური მარაგების მოძრაობის მაჩვენებლები.

ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით მატერიალური მარაგები აღრიცხვაში აისახება თვითღირებულებით. ვინაიდან სამინისტროს სისტემაში შემავალი დაქვემდებარებული ერთეულები არ ახდენს მარაგების რეალიზაციას, თვითღირებულება და წმინდა (ნეტო) სარეალიზაციო ღირებულება ერთმანეთის ტოლია. მარაგების ნაშთების მოცულობამ პერიოდის დასაწყისში შეადგინა - 193478,07 ლარი. პერიოდის განმავლობაში მარაგების მიღებისა და გასვლის მონაცემებით პერიოდის ბოლოსთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფიქსირდება მარაგების ზრდა - 20022,38. მარაგების მიღების ძირითადი წყაროა შესყიდვები - 952714,97 ლარი, ურთიერთგადაცემების მონაცემების ელიმინირების შემდგომ გრანტებით მარაგების მიღებამ შეადგინა - 414858,14 ლარი, გარე ტრანსფერებით მიღებამ შეადგინა - 2894,69 ლარი. სხვადასხვა შემოსავლებით მიღებული იქნა - 1840 ლარის ღირებულების მარაგები. შესაბამისად, შემოსავლების N14 შენიშვნების ცხრილში, როგორც სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტი, საბიუჯეტო სახსრებით ასახულია 413368,14 ლარი, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით - 1500 ლარი. მარაგების გასვლის მნიშვნელოვანი წყაროა მოხმარება საქონლისა და მომსახურების მუხლით - 627314,49 ლარი. გრანტების სახით ხარჯებმა ელიმინირების შემდეგ შეადგინა - 284115,82 ლარი, რაც ასევე ასახულია დარიცხული ხარჯების N17 შენიშვნების ცხრილში. მატერიალური მარაგების სხვა დანარჩენი ხარჯები ძირითადად გაწეულია: გარე ტრანსფერებით - 291039,26 ლარი, სოციალური დახმარებით - 22787,55 ლარი, დანაკლისად აღიარებულია - 4825 ლარი, სხვა ხარჯებით - 120143,28 ლარი, ხოლო სხვა გასვლებით - 2070 ლარი.

მატერიალური მარაგების ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით 100 ლარზე მეტი ღირებულების მარაგები და ექსპლუატაციაში მყოფი მცირეფასიანი საგნები ირიცხება N4 საცნობარო მუხლში, ხოლო მარაგების ნაშთების ღირებულების შეფასება წარმოებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ძირითადი აქტივების მოძრაობის მაჩვენებლები ასახულია ფინანსური ანგარიშგების N6 შენიშვნაში. ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი აქტივები აღრიცხვაში აღიარებულია ისტორიული ღირებულებით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლის „1/ა“ ქვეპუნქტის

საფუძველზე, ძირითადი აქტივების ისტორიულ ღირებულებად აღიარებას დაექვემდებარა პირვანდელი (თავდაპირველი) ღირებულება, ხარჯებში ჩამოწერილი ცვეთის თანხის აღდგენის გზით. შესაბამისად, ძირითადი აქტივების თვითღირებულების ნაშთმა პერიოდის დასაწყისისთვის შეადგინა - 31894339,66 ლარი, დაგროვილი ცვეთის თანხამ - 3026361,50 ლარი, ხოლო საბალანსო ღირებულებამ პერიოდის დასაწყისისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში - 28867978,16 ლარი. პერიოდის განმავლობაში შესყიდული იქნა - 614432,97 ლარის ღირებულების აქტივები, გრანტის სახით მიღებულმა ელიმინირების შემდგომ სულ შეადგინა - 4799261,47 ლარი. სამინისტროს დაქვემდებარებულ ერთეულებს შორის ძირითადი აქტივების ურთიერთგადაცემის შემთხვევები დაექვემდებარა ამოთიშვას მიღებული აქტივების კუთვნილი ცვეთის თანხების გათვალისწინებით და N14 შენიშვნების ცხრილში შემოსავლები კაპიტალური გრანტებით შეადგენს - 4800791,47 ლარს. ასევე ელიმინირებულია გრანტის ხარჯები გასვლისას ანუღირებული ცვეთის თანხების გათვალისწინებით და გრანტის ხარჯების მოცულობამ N17 შენიშვნების ცხრილში შეადგინა - 548149,31 ლარი. მიღებული და გასული აქტივების გავლენით პერიოდის ბოლოს ძირითადი აქტივების თვითღირებულებამ შეადგინა - 36654088,17 ლარი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხულმა ცვეთის თანხამ, შეადგინა - 513932,29 ლარი, გასული ძირითადი აქტივების კუთვნილმა ანუღირებულმა ცვეთის თანხამ შეადგინა 89764,50 ლარი, ხოლო მიღებული აქტივების კუთვნილმა ცვეთის თანხამ შეადგინა 32545,85 ლარი, ხოლო აქტივების რეკლასიფიკაციის შედეგად გასული აქტივების ცვეთის თანხამ - 2478,18 ლარი. სულ აგრეგირებულმა ცვეთის თანხამ, შეადგინა - 3480596,96 ლარი. ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულებამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგინა (36654088,17-3480596,96) - 33173491,21 ლარი.

ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი აქტივების ცვეთის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით ექსპლუატაციის ვადის პროპორციულად, ნარჩენი ღირებულების გარეშე და შესაბამისად თვითღირებულება და ცვეთადი ღირებულება ერთმანეთის ტოლია.

არამატერიალური აქტივების მოძრაობის მაჩვენებლები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების N8 შენიშვნების ცხრილში. პერიოდის დასაწყისისთვის ნაშთმა თვითღირებულებით შეადგინა - 63454,65 ლარი, ხოლო გრანტებით - 1530 ლარი. სხვადასხვა ხარჯებით და სხვა გასვლებით გასულია - 8275 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები. სულ თვითღირებულებამ პერიოდის ბოლოს შეადგინა - 204148,43 ლარი. დაგროვილი ამორტიზაციის თანხამ შეადგინა - 76749,38 ლარი, ხოლო 2021 წელს დარიცხულმა ამორტიზაციამ - 17495,79 ლარი. გასვლას ანუღირებულმა ამორტიზაციამ - 6617,50 ლარი. სულ აგრეგირებულმა ამორტიზაციის თანხამ შეადგინა - 87627,67 ლარი. არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგინა (204148,43-87627,67) - 116520,76 ლარი.

ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადით განსაზღვრული ამორტიზებადი ღირებულებიდან, რომელიც თვითღირებულების ტოლია.

N11 შენიშვნების ცხრილში წარმოდგენილია ფასეულობები, რომლის ღირებულებამ პერიოდის დასაწყისში შეადგინა - 6579,22 ლარი. პერიოდის განმავლობაში გრანტებით და გარე ტრანსფერებით გადაცემას დაექვემდებარა - 879,22 ლარის ღირებულების ფასეულობები და პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია - 5700 ლარი.

N12 შენიშვნების ცხრილიდან ჩანს, რომ ავტონომიურ რესპუბლიკას ერიცხება გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება არასაბიუჯეტო ნასესხები თანხები - 9000 ლარი, გასული წლის ნაშთის

სახით, რომელიც დაფარული იქნა საანგარიშო წელს და პერიოდის ბოლოს ნაშთი არ ფიქსირდება (თანხა, ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში).

ავტონომიურ რესპუბლიკას ერიცხება მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები – 427688,60 ლარი N2-13-0000 ძირითადი ანგარიშის ქვეანგარიშებზე და სხვა მოკლევადიანი მიმდინარე ვალდებულებები N2-15-0000 ანგარიშზე – 4090,57 ლარი, რომელიც წარმოადგენს ავანსად მიღებულ საიჯარო შემოსავლებს. აღნიშნული შემოსავლები ექვემდებარება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში გადარიცხვას. ვალდებულებები დეპოზიტებით – 943761,50 ლარი განთავსებულია კომერციული ბანკის ანგარიშებზე და ასევე წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის თანხას და აღირიცხება N2-16-2000 ძირითად ანგარიშზე. და გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია კრედიტორული დავალიანებების სახით და მიეკუთვნება N2-26-5000 ანგარიშის კრედიტს – 134372,78 ლარი.

მოდრაობის მაჩვენებლები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების N13/ა შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკით ვალდებულებები წარმოდგენილია, როგორც მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები.

ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკით ვალდებულების ოპერაციებზე გადასახდელები გამოირიცხება კრედიტორული დავალიანებების ოპერაციებისაგან და განიხილება, როგორც ხარჯვითი ოპერაციები. საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების ღირებულებას წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება.

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების მაჩვენებლები წარმოდგენილია ამავე დასახელების ანგარიშგების ფორმაში. გაუნაწილებელი ნაშთის ნაშთმა პერიოდის დასაწყისში შეადგინა საბიუჯეტო სახსრებით - 27957157,09 ლარი, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით – 1197183,39 ლარი, სულ – 29154340,48 ლარი. წინა პერიოდის რეტროსპექტული გადაანგარიშების გრაფაში ასახულ იქნა წლის დასაწყისისთვის არსებული ბიუჯეტის ნაშთი - 603059,71 ლარი, რითაც კორექტირდა საბიუჯეტო სახსრების გაუნაწილებელი ნაშთი დეფიციტი. კორექტირებულმა ნაშთმა შეადგინა - 28560216,80 ლარი. სულ გასული პერიოდის ნაშთი/დეფიციტის გავლენით, 2021 წლის საწყისმა ნაშთმა ბიუჯეტით შეადგინა - 30062472,19 ლარი, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით - 1211977,43 ლარი. სულ - 31274449,62 ლარი. საანგარიშო პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების შედარებით, ნაშთის ფაქტორმა ბიუჯეტით შეადგინა - 3415780,63 ლარი, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით - 104989,13 ლარი. ორივე ფაქტორის ჯამი შეადგენს - 3513759,15 ლარს და წმინდა აქტივების/კაპიტალის საბოლოო ნაშთმა შეადგინა - 34795219,38 ლარი, რაც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დეტალური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მოცემულია N14, N15, N16 და N17 შენიშვნების ცხრილებში.

ბალანსის საცნობარო მუხლები;

N01 - ირიცხება საოპერაციო იჯარით მიღებული აქტივების ღირებულება – 170254,77 ლარი .

N02 - პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული აქტივები - 16289,12 ლარი.

N03 - გასული წლების გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება შემცირდა და შეადგენს - 162807,59 ლარს (ძირითადად კოდორის ხეობაში დარჩენილი მოძრავი ქონების ჩამოწერილი დავალიანება - 138841,03 ერიცხება აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს).

N04 - ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგების ღირებულება პერიოდის დასაწყისთან (1007743,48) შედარებით შემცირდა – 90498,27 ლარით და შეადგენს –917245,21 ლარს.

N08 საცნობარო მუხლიდან პერიოდის განმავლობაში დაქვემდებარებულ ერთეულებს გადაეცა, ასევე ჩამოწერას დაექვემდებარა – 233501.56 ლარის ამორტიზებული ძირითადი აქტივები და პერიოდის ბოლოს ირიცხება – 1187815.69 ლარი.

N10 საცნობარო მუხლში განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება, პერიოდის დასაწყისთან (494531,65 ლარი) შედარებით შემცირდა – 76382 ლარით და პერიოდის ბოლოს შეადგენს - 418149,65 ლარს.

N12 საცნობარო მუხლში უცვლელია ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანებების თანხა - 645,83 ლარი.

ავტონომიური რესპუბლიკის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა ყველა არსებითი პრინციპები, კონსოლიდაციის წესების დაცვით.

განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებულია ყველა არსებითი ინფორმაცია აქტივებზე, ვალდებულებებზე და გაუნაწილებელ ნამეტ/დეფიციტზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის საიმედო, მომზადებულია ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, არის ნეიტრალური, დაცულია ტენდენციურობისაგან და ხემისაწვდომია შიდა და გარე მომხმარებლებისათვის.

**კონსოლიდირებული
ერთეულები**

კოდი	ორგანიზაცია
01 01	აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო
02 01	აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატი
02 05	ა(ა)იპ „სულიერების ცენტრი“
02 06	ა(ა)იპ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი“
05 01	აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
05 08	ა(ა)იპ აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტო
06 01	აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
06 02	ზემო აფხაზეთის რესურსცენტრი
06 03	გალის რაიონის რესურსცენტრი
06 12	სსიპ ქ. სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
06 13	სსიპ ქ. სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი "თეთრი ტალღა"
06 14	სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "აფხაზეთი"
06 20	სსიპ "გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა"
06 27	სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“
06 28	ა(ა)იპ აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი შავნაბადა
08 01	ზემო აფხაზეთში - აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა
11 01	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო
11 13	სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მომსახურების სააგენტო
18 01	აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო
18 02	აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი
18 05	სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი "ბიზნეს-ინკუბატორი"
18 06	სსიპ აფხაზეთის ა/რ სავაჭრო –სამრეწველო პალატა
18 07	სსიპ “პროგრამებისა და სერვისების სააგენტო“
18 08	აფხაზეთის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი
18 10	ა(ა)იპ "საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისთვის"
18 11	სსიპ - აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტო
19 01	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი
19 04	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის საქვეუწყებო დაწესებულება-ა.ა/რ არქივის სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>

<https://www.budgetmonitor.ge/ka>

<http://www.blog.sao.ge/>

<http://www.sai.ge/main/>

<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>

<https://www.youtube.com/user/saogeorgia>

<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE